| | | |
|---|---|---|
| გამომცემი სტრუქტ. ერთეული::<br>Issued by org. Unit:<br>ტექნიკური დეპარტამენტი<br>**Technical Department** | **ENERGO-PRO** | |
| გამოცემის თარიღი:<br>Date of Issue: 20.01.2010. | ძალაში შესვლის თარიღი:<br>Valid since: 20.01.2010. | მოქმედების ვადა: უვადო<br>Valid till: **Unlimited** |
| შეცვლილი დოკუმენტი: არა | | |
| დოკუმენტის ტიპი:<br>**Type of Document:**<br><br>ინსტრუქცია<br>**Instruction** | რეგისტრაციისა და დოკუმენტის ნომერი:<br>**Registration and file No.:**<br>Ins 2010001. | რევიზიის ვადა:<br>**Revision Period:**<br>წელიწადში ერთხელ<br>**Once in a year**<br>პირველი რევიზია:<br>01.02.2011<br>**Up to date:** |

სათაური:

# საწარმოებში მომხდარი უბედური შემთხვევებისას პირველადი დახმარების ჩატარების ინსტრუქცია

**Title:**

# Instruction of first aid at accidents taken place in enterprises

| | | | |
|---|---|---|---|
| შემდგენელი:<br>**Elaborated by:**<br><br>თამარ კობიაშვილი<br>**Tamar Kobiashvili** | შრომის დაცვის სამსახურის დისტრიბუციის ინჟინერი<br><br>**Distribution Safety Techniques Engineer of Labor Protection Service** | თარიღი:<br>**Date:**<br>18.01.2010 | ხელმოწერა:<br>**Signature:** |
| თავდები:<br>**Guarantor:**<br><br>ვასო კობიაშვილი<br>**Vaso Kobiashvili** | შრომის დაცვის სამსახურის უფროსი<br><br>**Head of Labor Protection Service** | თარიღი:<br>**Date:**<br>18.01.2010 | ხელმოწერა:<br>**Signature:** |
| სამართლებრივი ზედამხედველი:<br>**Legal Supervisor:**<br><br>ალექსანდრე ტუშური<br>**Alexander Tushuri** | იურიდიული მენეჯერი<br><br>**Legal Manager** | თარიღი:<br>**Date:**<br>18-01.10 | ხელმოწერა:<br>**Signature:** |
| ადმინისტრატორი:<br>**Administrator:**<br><br>მარინა ხვიბლიანი<br>**Marina Khvibliani** | კანცელარიის უფროსი<br><br>**Head of Chancellery** | თარიღი:<br>**Date:**<br>18-01.10 | ხელმოწერა:<br>**Signature:** |
| ზედამხედველი:<br>**Taskmaster:**<br><br>ალეკო ნემსაძე<br>**Aleko Nemsadze** | ტექნიკური მენეჯერი<br><br>**Technical Manager** | თარიღი:<br>**Date:** | ხელმოწერა:<br>**Signature:** |
| დამტკიცებულია:<br>**Approved by :**<br><br>რადოსლავ დუდოლენსკი<br>**Radoslav Dudolenski** | გენერალური დირექტორი<br><br>**General Director** | თარიღი:<br>**Date:** | ხელმოწერა:<br>**Signature:** |

# 1. შესავალი დებულებები:

## 1.1. მიზანი

ინსტრუქცია წარმოადგენს წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევებისას დაზარალებულთა პირველადი დახმარების აღმოჩენის სააღსრულებლო ნორმატიულ დოკუმენტს თითოეული დასაქმებულისთვის, რომელიც მუდმივად უნდა ინახებოდეს მასთან.
ყოველი დასაქმებული, რომელმაც მიიღო წინამდებარე ინსტრუქცია, მოვალეა იცოდეს მისი შინაარსი და შეეძლოს გამოყენება ნებისმიერ ვითარებაში. ინსტრუქციის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი ყოველწლიურად მოწმდება გამოცდით.
ინსტრუქციას თანდართული აქვს კითხვა-პასუხი (დანართი 1) და თვალსაჩინო პლაკატები (დანართი 2).
ინსტრუქცია და კითხვა-პასუხი თვითსწავლების მიზნით გაიცემა დამსაქმებლის მიერ დასაქმებულებზე ხელმოწერით, თვალსაჩინო პლაკატები უნდა გმოიკრას სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" მომსახურების ცენტრებში და ქვესადგურებში.

## 1.2. დოკუმენტებთან კავშირი

წინამდებარე ინსტრუქცია შესაბამისობაშია კომპანიის წესდებასთან და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან.

## 1.3. მოქმედების სფეროს განსაზღვრა

წინამდებარე ინსტრუქციის ცოდნა სავალდებულოა კომპანიის ელექტროტექნიკური პერსონალისათვის.

# 2. ძირითადი ტერმინების განმარტება

არ გამოიყენება.

# 1. შესავალი დებულებები:

## 1.1. მიზანი

ინსტრუქცია წარმოადგენს წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევებისას დაზარალებულთა პირველადი დახმარების აღმოჩენის სააღსრულებლო ნორმატიულ დოკუმენტს თითოეული დასაქმებულისთვის, რომელიც მუდმივად უნდა ინახებოდეს მასთან.
ყოველი დასაქმებული, რომელმაც მიიღო წინამდებარე ინსტრუქცია, მოვალეა იცოდეს მისი შინაარსი და შეეძლოს გამოყენება ნებისმიერ ვითარებაში. ინსტრუქციის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი ყოველწლიურად მოწმდება გამოცდით.
ინსტრუქციას თანდართული აქვს კითხვა-პასუხი (დანართი 1) და თვალსაჩინო პლაკატები (დანართი 2).
ინსტრუქცია და კითხვა-პასუხი თვითსწავლების მიზნით გაიცემა დამსაქმებლის მიერ დასაქმებულებზე ხელმოწერით, თვალსაჩინო პლაკატები უნდა გმოიკრას სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" მომსახურების ცენტრებში და ქვესადგურებში.

## 1.2. დოკუმენტებთან კავშირი

წინამდებარე ინსტრუქცია შესაბამისობაშია კომპანიის წესდებასთან და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან.

## 1.3. მოქმედების სფეროს განსაზღვრა

წინამდებარე ინსტრუქციის ცოდნა სავალდებულოა კომპანიის ელექტროტექნიკური პერსონალისათვის.

# 2. ძირითადი ტერმინების განმარტება

არ გამოიყენება.

# 3. პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა

## 3.1. დახმარების გაწევის უნივერსალური სქემა

**ყურადღება!**

მოცემული სქემა წარმოადგენს უნივერსალურს პირველადი დახმარების გაწევის მიზნით მომხდარი ყველა შემთხვევისათვის.

როგორი უბედური შემთხვევაც არ უნდა მოხდეს — ავტოსაგზაო შემთხვევა, სიმაღლიდან ჩამოვარდნა, ელექტრული დენით დაზიანება ან წყალში ჩაძირვა (დახრჩობა) — ნებისმიერ შემთხვევაში პირველადი დახმარების გაწევის დაწყება საჭიროა გულის მოქმედების და სუნთქვის აღდგენით, შემდეგ უნდა გადაწყდეს სისხლდენის დროებით შეჩერების საკითხი.

მხოლოდ ამ ამოცანების გადაჭრის შემდეგ შეიძლება სახვევისა და არტაშანის დადება.

სწორედ ასეთი მოქმედების სქემა დაეხმარება შეუნარჩუნდეს სიცოცხლე დაზარალებულს სამედიცინო პერსონალის მოსვლამდე.



## 3.2. უეცარი სიკვდილი
## თუ არ არის გონზე და არ ესინჯება პულსი საძილე არტერიაზე

| 1 | | 2 | |
|---|---|---|---|
| დარწმუნდით რომ საძილე არტერიაზე პულსი არ ესინჯება |  | განთავისუფლდეს გულმკერდი ტანსაცმლისაგან და შეეხსნას ქამარი |  |
| დაუშვებელია!<br><br>დროის დაკარგვა სუნთქვის ნიშნების განსაზღვრის მიზნით | | დაუშვებელია!<br><br>გულმკერდზე დარტყმა და გულის არაპირდაპირი მასაჟის ჩატარება, გულმკერდის ტანსაცმლისაგან განთავისუფლებისა და წელზე ქამრის შეუხსნელად | |
| **3** | | **4** | |
| დაიფაროს ორი თითით მახვილისებრი მორჩი |  | განხორციელდეს გულმკერდზე მუშტის დარტყმა |  |
| დაუშვებელია!<br>დარტყმის განხორციელება მახვილისებრ მორჩზე ან ლავიწის არეში | | დაუშვებელია!<br>გულმკერდზე მუშტის დარტყმა საძილე არტერიაზე პულსის არსებობისას | |
| **5** | | **6** | |
| დაიწყოს გულის არაპირდაპირ ი მასაჟი |  | განხორციელდეს ხელოვნური სუნთქვის „ჩაბერვა" |  |
| გულმკერდის ჩაზნექვის სიღრმე უნდა იყოს არანაკლებ 3-4 სმ. | | მოეჭიროს ცხვირზე დაზარალებულს, დაეკავოს ნიკაპი, გადაეწიოს თავი და გაუკეთდეს მაქსიმალური ჩაბერვა პირში. | |
| დაუშვებელია!<br>ხელისგულის განთავსება გულმკერდზე ისე, რომ ცერა თითი მიმართული იყოს მაშველისკენ | | დაუშვებელია!<br>ხელოვნური სუნთქვის „ჩაბერვა" გაკეთდეს, წინასწარ ცხვირზე ხელის მოჭერის გარეშე | |

| 7 | ჩატარდეს რეანიმაციის კომპლექსი | ჩატარების წესები |
|---|---|---|
| <br><br>თუ გუგები შევიწროვებულია მაგრამ გულისცემა არ არის, რეანიმაცია საჭიროა გაგრძელდეს სამედიცინო პერსონალის მოსვლამდე | | - თუ დახმარებას უწევს **ერთი მაშველი**, მაშინ ყოველი 15 დაწოლის შემდეგ უნდა განხორციელდეს 2 „ჩაბერვა";<br>- თუ დახმარებას უწევს **მაშველთა ჯგუფი**, მაშინ ყოველი 5 დაწოლის შემდეგ უნდა განხორციელდეს 2 „ჩაბერვა";<br>- სიხლის გულთან სწრაფი დაბრუნებისათვის — აეწიოს ფეხები დაზარალებულს;<br>- თავის ტვინის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის — დაზარალებულს თავზე დაედოს ცივი საფენი;<br>- კუჭიდან ჰაერის გამოსადევნად – გადააბრუნეთ დაზარალებული მუცელზე და დააწექით მუშტებით ჭიპს ქვემოთ. |

| | | |
|---|---|---|
| 8 | ორგანიზება<br>გაუკეთდეს პარტნიორების მოქმედებას | პირველი მაშველი<br><br>ატარებს გულის არაპირდაპირ მასაჟს, იძლევა ბრძანებას „ჩაბერვა!" და აკონტროლებს გულმკერდის ამოწევის მიხედვით ჩაბერვის ეფექტურობას.<br><br>მეორე მაშველი<br><br>ატარებს ხელოვნურ სუნთქვას, აკონტროლებს გუგების რეაქციას, საძილე არტერიაზე პულსს და პარტნიორებს აგებინებს დაზარალებულის მდგომარეობას: **„არის გუგების რეაქცია! არ არის პულსი! არის პულსი!** და ა.შ."<br><br>მესამე მაშველი<br><br>გულზე სისხლის უკეთ მიწოდებისათვის დაზარალებულს უწევს ფეხებს მაღლა და ემზადება პარტნიორის შესაცვლელად, რომელიც ატარებს გულის არაპირდაპირ მასაჟს. |
|  | | |
| დაუშვებელია!<br><br>მაშველების ერთმანეთის პირისპირ განთავსება და პარტნიორის უკნიდან შემოვლა | | |

## რეანიმაციის თავისებურებანი შეზღუდულ გარემოში

| 1 | განხორციელდეს<br>გულმკერდზე მუშტის დარტყმა | 2 | დააწვინეთ დაზარალებული ზურგზე |
|---|---|---|---|
|  | |  | |
| დარტყმა შეიძლება განხორციელდეს დაზარალებულის „მჯდომარე" და „მწოლიარე" მდგომარეობაში. | | რეანიმაციის კომპლექსი შეიძლება ჩაუტარდეს მხოლოდ ზურგზე მწოლიარე დაზარალებულს, სწორ და მაგარ ზედაპირზე. | |

## 3.3. კომატოზური მდგომარეობა
## როცა დაზარალებული არ არის გონზე, მაგრამ საძილე არტერიაზე ესინჯება პულსი

| 1 | დააწვინეთ დაზარალებული მუცელზე | 2 | მოაცილეთ<br>ლორწო და მუცლიდან ამონაღები |
|---|---|---|---|
|  | |  | ხელსახოცით ან სპეციალური რეზინის ბალონით პერიოდულად გასუფთავდეს პირის ღრუ ლორწოსაგან და ამონაღებისაგან |
| ექიმების მოსვლამდე დაზარალებული საჭიროა მოთავსდეს მხოლოდ „მუცელზე მწოლიარე" მდგომარეობაში. | | <br> | 3 დაედოს თავზე ცივი |
| დაუშვებელია!<br>კომაში მყოფი ადამიანის დატოვება ზურგზე მწოლიარე მდგომარეობაში. | | | შეიძლება გამოიყენოთ ბოთლი ყინულით, ცივი წყლით, თოვლით, ან ჰიპოთერმიული პაკეტი. |

## 3.4. არტერიული სისხლდენა
## არტერიული სისხლდენის დროს

**1** — მიაჭირეთ
თითები ან მუშტი არტერიას მითითებულ წერტილებში






საძილე არტერიის მიჭერა ჭრილობაზე ან ჭრილობის ქვემოთ



ხელისგულის ჭრილობიდან არტერიული სისხლდენის დროებითი შეჩერება



მხრის არტერიაზე მიჭერა ჭრილობის ზევით

ლახტის დადებამდე დაზიანებული კიდური უნდა დავტოვოთ აწეულ მდგომარეობაში



თეძოს არტერიის მუშტით მიჭყლეტვა

კიდურებზე, არტერიაზე მიჭერის ადგილი უნდა იყოს სისხლდენის ადგილის ზემოთ.
კისერზე და თავზე – ჭრილობის ქვევით ან ჭრილობაზე

დაუშვებელია!
დროის დაკარგვა კიდურების ტანსაცმლისაგან განთავისუფლებაზე

**2** — დაედოს
სისხლდენის შემაჩერებელი ლახტი (უმჯობესია ლახტი „ალფა")



მოტარდეს ლახტი კიდურს და მოიჭიმოს მაქსიმალური ძალით




მიეჭიროს თითი ლახტის პირველ ხვიას და შემოწმდეს პულსის არარსებობა



ლახტის მომდევნო ხვიები გადაეჭიროს ნაკლები ძალით



კისერზე ლახტს ადებენ პულსის კონტროლის გარეშე , ექიმის მოსვლამდე

ჭრილობის ჰერმეტიზაციისათვის იყენებენ სპეციალურ სახვევს „ კოლეტექსს" ან მრავალფენოვან ნაჭერს ( დოლბანდის პაკეტი)

**კიდურის ბალურჯების და შეშუპების შემთხვევაში ( ლახტის არასწორად დადების დროს)**




**საჭიროა სასწრაფოდ დაედოს ლახტი ხელმეორედ**





ჩამკეტი მარყუჟი შემოტარდეს ლახტის გარშემო



დაიჭიმოს მარყუჟი და დამაგრდეს ლახტის თავისუფალი ბოლოს ქვეშ



მარყუჟის ქვეშ ჩავდოთ წერილი ლახტის დადების დროის მითითებით




ბარძაყზე ლახტს ადებენ გლუვი მყარი საგნით (დოლბანდი) მუხლქვეშა ღრმულში პულსის კონტროლით

**კიდურებზე ლახტის დადება შეიძლება არაუმეტეს 1 საათისა**

## 3.5. ჭრილობები კიდურებზე
## როგორ უნდა დაედოს ჭრილობას სახვევი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | დაიფაროს<br>ჭრილობა სუფთა საფენით ისე, რომ ჭრილობის კიდეები არ გამოჩნდეს | 2 | გადაეხვეს<br>საფენი დოლბანდით ან დამაგრდეს ლეიკოპლასტირით |
|  | |  | |
|  | აკრძალულია!<br>ჭრილობის წყლით გაბანა | აკრძალულია!<br>ჭრილობაში სპირტიანი ან ნებისმიერი სხვა ხსნარის ჩასხმა |  |

## 3.6. გულმკერდის შემავალი ჭრილობები
## როგორ დაედოს ჭრილობას სახვევი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | დაეჭიროს<br>ხელისგული ჭრილობას ისე, რომ არ შეაღწიოს ჰაერმა | 2 | დაედოს<br>ჰერმეტული სახვევი ან ლეიკოპლასტირი |
|  | |  | |
| დაუშვებელია!<br>შემთხვევის ადგილზე უცხო საგნების ჭრილობიდან ამოღება | | ტრანსპორტირება<br>შეიძლება მხოლოდ „მჯდომარე" მდგომარეობაში | |

## 3.7. მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობები
## როგორ უნდა დაედოს ჭრილობებს სახვევი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | დაიფაროს<br>ჭრილობა სუფთა საფენით | 3 | აეწიოს<br>ფეხები და გაეხსნას წელზე ქამარი. შესაძლებლობისდაგვარად მუცელზე დაედოს ცივი |





| | |
|---|---|
| 2 | დამაგრდეს<br>ლეიკოპლასტირით საფენი, რომელიც მთლიანად ფარავს ჭრილობის კიდეებს. |

დახმარების მოლოდინში და ტრანსპორტირებისას დაზარალებული უნდა იყოს მხოლოდ „ზურგზე მწოლიარე" მდგომარეობაში, აწეული და მუხლებში მოხრილი ფეხებით.





აკრძალულია!
- გამოვარდნილი ორგანოების გასწორება
- წყლის მიცემა

## 3.8. თერმული დამწვრობა

## როგორ უნდა დამუშავდეს დამწვრობები შემთხვევის ადგილზე

| დამწვრობის დამუშავების წესი, დამწვრობისაგან გაჩენილი ბუშტების დაუზიანებლად | | | დამწვრობის დამუშავების წესი, კანისა და დამწვრობისაგან გაჩენილი ბუშტების მთლიანობის დაზიანებით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაჩერდეს ცივი წყლის ჭავლის ქვეშ 10-15 წუთის განმავლობაში | და/ან | დაედოს ცივი 20-30 წუთის განმავლობაში | 1 | დაეფაროს მშრალი სუფთა ქსოვილი | 2 | მშრალი ქსოვილის ზემოდან დაედოს ცივი |









არ შეიძლება!
დამწვარ ზედაპირზე ზეთებისა და ცხიმების წასმა



აკრძალულია!
-წყლით გაბანა
-დამწვარი ზედაპირის გადახვევა

## 3.9. თვალების ტრავმები

| თვალის ან ქუთუთოს ჭრილობა | თვალების ან ქუთუთოების დამწვრობა მწვავე ქიმიური ნივთიერებებით |
| --- | --- |
| 1 — დაიფაროს თვალი სუფთა საფენით | 1 — ფრთხილად გაეწიოს ქუთუთოები და გაჩერდეს ცივი წყლის ჭავლის ქვეშ |
|   დაზარალებულს ყველა ოპერაცია ჩაუტარდეს „მწოლიარე" მდგომარეობაში. |   |
| 2 — დაფიქსირდეს საფენი სახვევით და აუცილებლად დაიფაროს იგივე საფენით მეორე თვალიც გუგების მოძრაობის შესაჩერებლად | 2 — გაიბანოს თვალი ისე, რომ წყლის ჭავლი მიემართებოდეს ცხვირიდან გარე მიმართულებით |
|  არ შეიძლება! ნაჩხვლეტი ან გაჭრილი თვალისა და ქუთუთოების ჩამობანა | დაუშვებელია! გამანეიტრალებელი სითხეების გამოყენება თვალში მძაფრი ან მწვავე ნივთიერებების მოხვედრისას (მჟავა, ტუტე) |

## 3.10. კიდურების ძვლების მოტეხილობა
## რა უნდა გაკეთდეს კიდურების ძვლების მოტეხილობის დროს

| დაფიქსირდეს კიდურები ასაწყობი არტაშანით | დაფიქსირდეს კიდური ხელთ არსებული საშუალებებით |
| --- | --- |
|  წინა მხრის ძვლისა და იდაყვის სახსრის დაფიქსირება; წვივის ძვლების, მუხლისა და წვივ-ტერფის სახსრების დაფიქსირება  | შეიძლება გადაეხვევს ნებისმიერი თანმიმდევრობით   |
| ღია მოტეხილობებისას ჯერ დაედოს სახვევი და ამის შემდეგ – არტაშანი   | აუცილებელია ფეხებს შორის ნაჭრის ჩალიჩის ამოდება<br>წვივის, მენჯ-ბარძაყის ძვლებისა და მუხლის სახსრის დაფიქსირება |
| „ბაყაყისებრი" მდგომარეობა. მუხლებქვეშ ამოედოს მისივე ტანსაცმლისაგან დამზადებული ჩალიჩი | არ შეიძლება! არტაშანის გამოყენება თუ დაზარალებული წევს „ბაყაყისებრ" მდგომარეობაში |

დაზარალებულის გადაყვანის წესი „ნიდერლანდური ხიდის" მეთოდით

| | |
|---|---|
|  | **პირველ მაშველს**<br>უჭირავს დაზარალებულის თავი და მხრები<br><br>**მეორე მაშველი**<br>დაზარალებულს აუწევს წელს, უჭერს ხელებს, აკონტროლებს სხვა მაშველთა მოქმედებას და იძლევა ბრძანებას „ერთი-ორი! ავწიეთ!"<br><br>**მესამე მაშველი**<br>იჭერს დაზარალებულის ტერფებს და წვივებს |
| ამგვარი ქმედებით დაზარალებულის გადაყყვანა შეიძლება „მუცელზე მწოლიარე" მდგომარეობაშიც | საერთო ამოცანა – შენარჩუნდეს დაზარალებულის სხეულის ჰორიზონტალური მდგომარეობა |
|  | **კიბეზე ზემოთ**, სანიტარულ ტრანსპორტში შეყვანის დროს – თავით წინ<br>**კიბეზე ქვევით**, სანიტარული ტრანსპორტიდან გამოყვანისას –ფეხებით წინ<br>**წინ მიმავალნი** ყურადღებით იყურებიან ფეხქვეშ, აკონტროლებენ მოძრაობას და აფრთხილებენ უკანმავალთ ყველა დაბრკოლების შესახებ<br>**უკანმავალი** თვალყურს ადევნებს დაზარალებულის მდგომარეობას და აუცილებლობის შემთხვევაში გასცემს ბრძანებას „სდექ! დაეწყო ღებინება!" ან „სდექ! დაკარგა გონება!". |

## 3.11. პირველადი დახმარება ელექტროდენით დაშავებისას

### ელექტრული დენის ზემოქმედებისაგან განთავისუფლების წესები



1000 ვ-ზე მაღალი ძაბვის შემთხვევაში საჭიროა:
- დიელექტრიკული ხელთათმანის, რეზინის ბოტების ან კალოშების ჩაცმა;
- იზოლირებელი შტანგის ან მაიზოლირებელი მარწუხის აღება;
- 6-20 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გამტარების გადამოკლება, სპეციალური ინსტრუქციის შესაბამისად;
- მაიზოლირებელი შტანგით მოცილდეს დაზარალებულს სადენი;
- გამოთრეულ იქნას დაზარალებული ტანსაცმელზე ხელის ჩავლებით გამტარის მიწასთან შეხების ადგილიდან ან ძაბვის ქვეშ მყოფი დანადგარიდან 10 მ-ის მოშორებით.





მთავარი ამოცანა
დაზარალებულის სიმაღლიდან რაც შეიძლება სწრაფად დაშვება, იმისათვის, რომ სასწრაფოდ ჩატარდეს პირველადი დახმარება უფრო მეტად მოხერხებულ და უსაფრთხო პირობებში (მიწაზე, მოედანზე)

არ შეიძლება!
პირველადი დახმარების გაწევა, სანამ დაზარალებული არ განთავისუფლდება ელექტროდენის ზემოქმედებისაგან

არ შეიძლება!
დროის დაკარგვა სიმაღლეზე დახმარების გასაწევად.

### „ბიჯური" ძაბვის ზონაში გადაადგილების წესები




ელექტრული გამტარის მიწასთან შეხების წერტილიდან 10 მ-ის რადიუსში შეიძლება „ბიჯური" ძაბვის ზონაში მოხვედრა.
„ბიჯური" ძაბვის ზონაში გადაადგილება უნდა ხდებოდეს დიელექტრიკული ბოტებით ან კალოშებით ან/და „ბატის ნაბიჯით" გადადგმული ფეხის ტერფი არ უნდა ასცდეს მიწას და ქუსლი წინიდან (გახოხებით) უნდა მიედგას მეორე ფეხის წვერს.

არ შეიძლება!
ფეხსაცმლის ლანჩების მოშორება მიწის ზედაპირიდან, აგრეთვე გრძელი ნაბიჯების გადადგმა.

არ შეიძლება!
ჩამოვარდნილ სადენთან სირბილით მიახლოება

| | |
|---|---|
|  | გაანთავისუფლეთ დაზარალებული დენის ზემოქმედებისაგან (არ დაივიწყო საკუთარი უსაფრთხოება!)<br><br>საძილე არტერიაზე პულსის არქონის შემთხვევაში განახორციელეთ მუშტის დარტყმა გულმკერდის არეში და დაიწყეთ რეანიმაცია.<br>კომის შემთხვევაში – გადააბრუნეთ მუცელზე.<br><br>ელექტრო დამწვრობის და ჭრილობების შემთხვევაში–დაადეთ სახვევი.<br>კიდურების ძვლების მოტეხილობის შემთხვევაში – არტაშანი.<br>გამოიძახეთ „სასწრაფო დახმარება"<br><br>დაუშვებელია!<br>- დაზარალებულზე შეხება, ძაბვის ზემოქმედებისაგან მისი წინასწარი განთავისუფლების გარეშე.<br>- რეანიმაციული ღონისძიებების შეწყვეტა ბიოლოგიური სიკვდილის ნიშნების გამოვლენამდე |

## 3.12. სიმაღლიდან ჩამოვარდნა

რა უნდა გაკეთდეს სიმაღლიდან ჩამოვარდნის შემთხვევაში, როცა დაზარალებული გონზეა

| 1 | შეფასდეს<br>დაზარალებულის მდგომარეობა |
|---|---|



| | |
|---|---|
| იძულებითი „ბაყაყისებრი" მდგომარეობა – არის მძიმე და საშიში დაზიანებების უტყუარი ნიშანი | |
| დაზარალებულს არ შეუძლია ფეხების მდებარეობის შეცვლა | ტერფები გადაწეული აქეთ-იქეთ, მუხლები წამოწეული და ერთმანეთს დაცილებული. |
| ასეთ დაზიანებებს განეკუთვნება:<br>– მენჯის ძვლის მოტეხილობა და მენჯ-ბარძაყის სახსრების დაზიანება;<br>– თეძოს ძვლის მოტეხილობა;<br>– ხერხემლის დაზიანება;<br>– შინაგანი ორგანოების დაზიანებები და შინაგანი სისხლდენა. | |
| არ შეიძლება!<br><br>დაზარალებულის გადაყვანა ტანსაცმლის გახდა ან განძრევა | |

| | |
|---|---|
| **2** | გადააწვინეთ<br>დაზარალებული ციცხვისებრ საკაცეზე |
|  |  |
| გავხსნათ და გავშალოთ საკაცის ციცხვი | ფრთხილად შევაერთოთ საკაცის ციცხვი დაზარალებულის სხეულის ქვეშ |
| **3** | გადააწვინეთ დაზარალებული ვაკუუმურ ლეიბზე |
|  | გამოიყენება:<br>- ბარძაყისა და წვივის ძვლის მოტეხილობისას;<br>- ხელხემლის დაზიანებისას;<br>- მენჯისა და მენჯ-ბარძაყის სახსრების დაზიანებებისას. |
| დაუშვით დაზარალებული ვაკუუმურ ლეიბზე, ფრთხილად გააცალკევეთ საკაცის ციცხვი და გამოაცალეთ ისინი დაზარალებულს ქვემოდან | დაუშვებელია!<br>მეტალის საკაცეზე მწოლიარე დაზარალებულის დატოვება 10-15 წთ-ზე მეტი დროის განმავლობაში |
| **4** | დაფიქსირდეს<br>დაზარალებული ვაკუუმურ ლეიბზე „ბაყაყისებურ" მდგომარეობაში |
|  | პირველი მაშველი<br>აფიქსირებს ხერხემლის კისრის არეს<br><br>მეორე მაშველი<br>ფრთხილად წევს ლეიბს დაზარალებულის მუხლებთან<br><br>მესამე მაშველი<br>თავისუფალი ფეხით აკეთებს ჩალიჩს დაზარალებულის ტერფების მისაბჯენად და გამოტუმბავს ლეიბიდან ჰაერს |

## 3.13. ავტოსაგზაო შემთხვევები
## მოქმედების სქემა ავტოსაგზაო შემთხვევისას




თუ დაზარალებული იმყოფება უგონოდ

დარწმუნდით საძილე არტერიაზე პულსის არსებობაში
სწრაფად დააწვინეთ დაზარალებული მუცელზე

- გაუწმინდეთ პირის ღრუ ცხვირსახოცის ან ხელსახოცის საშუალებით
- სისხლდენისას – დაადეთ სისხლის შემაჩერებელი ლახტი
- ჭრილობაზე — დაადეთ სხვევი
- ძვლებისა და კიდურების მოტეხილობაზე ეჭვის გაჩენისას დაადეთ – არტაშანი
- გამოიძახეთ „სასწრაფო დახმარება"

დაუშვებელია!

- კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი დაზარალებული დავტოვოთ ზურგზე მწოლიარე;
- თავქვეშ ბალიშის, ჩანთის და გადახვეული ტანსაცმლის ამოდება;
- დაზარალებულის გადაყვანა ან გადათრევა უკიდურესი აუცილებლობის გარეშე (აფეთქების საშიშროება, ხანძარი და ა.შ.)

## 3.14. წყალში ჩაძირვა
## მოქმედების სქემა წყალში ჩაძირვის შემთხვევაში




<table>
<tr>
<td>• ჩაძირულის წყლიდან ამოყვანისთანავე — გადააბრუნეთ პირქვე და დაუწიეთ თავი მენჯზე დაბლა<br>• გაანთავისუფლეთ პირი უცხო სხეულებისაგან და ლორწოსაგან. მყისიერად დააწექით ენის ძირზე.<br>• ღებინებისა და ხველების რეფლექსების გამოვლენისთანავე — მიაღწიეთ მუცლიდან, ფილტვებიდან და სასუნთქი გზებიდან წყლის მთლიანად გამოდევნას.</td>
<td>• თუ არ აღინიშნება პირღებინების მოძრაობები და პულსი — დააწვინეთ ზურგზე და დაიწყეთ რეანიმაცია.<br>• სასიცოცხლო ნიშნების გამოვლენისას — გადააბრუნეთ პირქვე, გამოდევნეთ წყალი ფილტვებიდან და მუცლიდან.<br>• გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება</td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">დაუშვებელია!<br><br>- დაზარალებულის უმეთვალყურეოდ დატოვება (ნებისმიერ მომენტში შეიძლება გაჩერდეს გული)<br>- დაზარალებულის საკუთარი ძალებით გადაყვანა, თუ არის სამაშველო სამსახურის გამოძახების შესაძლებლობა</td>
</tr>
</table>

### მოქმედების სქემა ცივ წყალში და ყინულჭრილში ჩაძირვისას

<table>
<tr>
<td>• გადაიყვანეთ დაზარალებული უსაფრთხო ადგილზე<br>• შეამოწმე გუგების რეაქცია შუქზე და საძილე არტერიაზე პულსის არსებობა<br>• მოქმედების სქემა ცივ წყალში და ყინულჭრილში ჩაძირვისას<br>• საძილე არტერიაზე პულსის არ არსებობისას — შეუდექით რეანიმაციას<br>• თუ გამოვლინდა სიცოცხლის ნიშნები — გადაიყვანეთ გადარჩენილი თბილ სათავსოში, გადააცვით მშრალი ტანსაცმელი, მიეცით თბილი სასმელი<br>• გამოიძახეთ „სასწრაფო დახმარება"<br>დაუშვებელია!<br>დროის დაკარგვა მუცლის ღრუდან და ფილტვებიდან წყლის გამოდევნაზე, როცა საძილე არტერიაზე პულსი არ ისინჯება</td>
<td>- საკუთარ თავს დაეხმარე თავად – თუ ჩავარდი ყინულიან წყალში<br>- <u>არ დაიბნე!</u> ყინულზე ამოდი მხოლოდ იმ მხრიდან, საიდანაც ჩავარდი<br>- შეეცადე სხეულის ზედა ნაწილით მთლიანად დაეყრდნო ყინულის რაც შეიძლება მყარ და დიდ ნაწილს<br>- გახოხდი პირველი 3-4 მეტრი აუცილებლად საკუთარ ნაკვალევზე</td>
</tr>
</table>

## 3.15. გადაციება და მოყინვა

| მოქმედების სქემა სხეულის გადაცივებისას | მოქმედების სქემა სხეულის მოყინვისას |
|---|---|
| • კუნთების კანკალისა და ციების დროს საჭიროა დამატებით დააფაროთ და მისცეთ თბილი და ტკბილი სასმელი ან საკვები შაქრის დიდი შემცველობით.<br>• მიეცეს (თუ ამის შესაძლებლობაა) 50 მლ ალკოჰოლი და 1 სთ-ის განმავლობაში გადაიყვანეთ თბილ სათავსოში<br>• თბილ სათავსოში – სასწრაფოდ გახადეთ ტანსაცმელი და ჩააწვინეთ აბაზანაში 35–40 გრადუსი წყლის ტემპერატურით ან შემოუწყეთ დიდი რაოდენობით სათბუნებელი<br>• გამათბობელი აბაზანის შემდეგ აუცილებლად დააფარეთ ან ჩააცვით მშრალი და თბილი ტანსაცმელი<br>• გააგრძელეთ თბილი და ტკბილი სასმელების მიცემა ექიმის მოსვლამდე<br>**დაუშვებელია!**<br>- ალკოჰოლის განმეორებითი დოზების მიცემა ან იმ შემთხვევაში შეთავაზება როცა დაზარალებული მთვრალია<br>- გასათბობი აბაზანისთვის 30 გრადუსზე ნაკლები ტემპერატურის წყლის გამოყენება | რაც შეიძლება სწრაფად გადაიყვანეთ თბილ სათავსოში, მოყინული კიდურები გაანთავისუფლეთ ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისაგან.<br><br>სასწრაფოდ დაადეთ დაზიანებულ კიდურებს თერმოსაიზოლაციო სახვევი გარე სითბოსაგან დაცვის მიზნით.<br><br>მიეცეს დიდი რაოდენობით თბილი სითხე<br><br>აუცილებლად მიეცეს ტკივილგამაყუჩებელი<br><br>შეთავაზეთ ალკოჰოლის მცირე დოზა<br><br>აუცილებლად გამოიძახეთ „სასწრაფო დახმარება"<br>**დაუშვებელია!**<br>- მოყინული კიდურის დაზელვა<br>- დაზიანებულიკიდურების თბილ წყალში მოთავსება და სათბუნებლების შემოწყობა<br>- კანზე ზეთებისა და ვაზელინის წასმა |

## 3.16. გულწასულობა
## მოქმედების სქემა გულწასულობის დროს

| | |
|---|---|
| 1  | 2  |
| დარწმუნდით საძილე არტერიაზე პულსის არსებობაში | გაანთავისუფლეთ გულმკერდი ტანსაცმლისაგან და გაუხსენით წელზე ქამარი |
| 3  | 4  |
| აუწიეთ ფეხები | დააწექით მტკივნეულ წერტილზე |
| თუ საძილე არტერიაზე პულსი არ ისინჯება -- შეუდექით რეანიმაციის კომპლექსის ჩატარებას | თუ საძილე არტერიაზე პულსი ისინჯება — აუწიეთ ფეხები, შეუხსენით საკინძე და წელზე ქამარი |
| დააჭირეთ მტკივნეულ წერტილს | თუ 3 წუთის განმავლობაში გონზე არ მოვიდა — დააწვინეთ მუცელზე და თავზე დაადეთ ცივს |
| მუცელში ტკივილის შეგრძნებისას ან განმეორებითი გულის წასვლისას — ცივი დაადეთ მუცელზე | თბური და მზის დაკვრის დროს — გადაიყვანეთ გრილ ადგილზე, დაადეთ ცივი თავსა და მკერდზე |
| შიმშილით გულწასულობისას —დაალევინეთ ტკბილი ჩაი | გულის წასვლის ყველა შემთხვევაში ექიმის გამოძახება აუცილებელია |

**დაუშვებელია!**

-- მათბუნებლების დადება მუცელსა და წელზე მუცლის ტკივილისას და გულის წასვლის განმეორების შემთხვევაში;

-- საკვების მიცემა შიმშილისაგან გულწასულობის შემთხვევაში.

| 3.17. კიდურების მიჭყლეტა | 3.18. გველის და მწერების ნაკბენები |
|---|---|
| მოქმედების სქემა კიდურების ხანგრძლივი ჭყლეტის დროს | მოქმედების სქემა გველების და შხამიანი მწერების დაკბენის შემთხვევაში |
| შემოუწყეთ მიჭყლეტილ კიდურებს ყინულის, თოვლის ან ცივი წყლის პაკეტები | მოაცილეთ ნესტარი ნაკბენიდან |
| მიეცით ტკივილგამაყუჩებელი, შესთავაზეთ თბილი სასმელი დიდი რაოდენობით | ნაკბენზე დაადეთ ცივი. (გველგესლას ნაკბენზე დაადეთ ბაყაყი მუცლით ან სპეციალური სახვევი „კოლეტექსი”) |
| დაადეთ დამცავი ლახტი მიჭყლეტილ კიდურებზე მათ განთავისუფლებამდე | ჩააწვეთეთ 5-6- წვეთი გალაზოლინი ან სანორინი ცხვირში და ნაკბენში |
| კიდურები, განთავისუფლების თანავე მჭიდროდ გადაახვიეთ | კიდურებზე კბენისას—აუცილებლად დაადეთ არტაშანი |
| დაადეთ არტაშანები | მიეცით ბევრი და სასურველია ტკბილი სითხე |
| განმეორებით დაადეთ ცივი დაზიანებულ ზედაპირზე | თვალყური ადევნეთ დაზარალებულის მდგომარეობას ექიმის მოსვლამდე |
| ექიმების მოსვლამდე გააგრძელეთ დიდი რაოდენობით თბილი სასმელის მიცემა | გონების დაკარგვის შემთხვევაში— დააწვინეთ მუცელზე. გულის შეჩერებისა და სუნთქვის შეწყვეტისას —დაიწყეთ რეანიმაცია |
| დაუშვებელია!<br>- დამცავი ლახტის დადებამდე და დაზარალებულისათვის დიდი რაოდენობით სითხის მიცემამდე მიჭყლეტილი კიდურების განთავისუფლება<br>- მიჭყლეტილი კიდურების შეთბობა | დაუშვებელია!<br>- გულის წასვლის შემთხვევაში დაზარალებულის დატოვება გულაღმა მწოლიარე მდგომარეობაში.<br>- მათბუნებლის ან გამათბობელი კომპრესის გამოყენება |

## 3.19. ქიმიური დამწვრობები და გაზებით მოწამვლა

| მოქმედების სქემა ქიმიური დამწვრობის შემთხვევაში | მოქმედების სქემა შხამიანი გაზებით მოწამვლის შემთხვევაში |
|---|---|
| ნებისმიერი აგრესიული ხსნარით დაზიანებისას (მჟავით, ტუტით, გამხსნელით, სპეცსაწვავით, ცხიმებით და ა.შ.) — გაიბანოს ცივი წყლის ჭავლით სასწრაფოს მოსვლამდე | • გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე<br>• გონის დაკარგვისა და საძილე არტერიაზე პულსის არ არსებობის შემთხვევაში შეუდექით რეანიმაციის კომპლექსს<br>• 4 წთ-ზე მეტი დროით გულწასულობის შემთხვევაში დააწვინეთ მუცელზე და დაადეთ ცივი თავზე<br>• ყველა შემთხვევაში გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება |
| დაუშვებელია!<br>ძლიერმოქმედი და კონცენტრირებული მჟავის, ტუტეების, ნაერთების გამოყენება დაზარალებულის კანზე რეაქციის ნეიტრალიზაციისათვის | დაუშვებელია!<br>ხელოვნური სუნთქვის ჩატარება პირიდან-პირში სპეციალური ნიღაბის გამოყენების გარეშე, რომელიც იცავს მაშველს დაზარალებულის ამონასუნთქისაგან |

## 3.20. ძირითადი მანიპულაციების ჩატარებისათვის საჭირო ნიშნები

| | |
|---|---|
| **როდის არის საჭირო დაუყოვნებლივ განხორციელდეს გულმკერდზე მუშტის დარტყმა და გულისა და ფილტვების რეანიმაციის დაწყება**<br><br>1. დაზარალებული არის უგონოდ<br>2. თვალის გუგები არ რეაგირებენ სინათლეზე<br>3. არა აქვს პულსი საძილე არტერიაზე | **როდის უნდა დაედოს მიმჭერი**<br><br>1. სახვევი სისხლდენისას, როდესაც სისხლი პასიურად ჩამოედინება ჭრილობიდან<br>2. კიდურების განთავისუფლებისთანავე მიჭყლეტვის სინდრომის დროს |
| **დაუშვებელია!**<br><br>1. დროის დაკარგვა მომხდარის გამომწვევი მიზეზების დადგენაზე<br>2. პანიკაში ჩავარდნა<br>3. დროის დაკარგვა სუნთქვის ნიშნების დადგენაზე | **როდის არის საჭირო სისხლშემაჩერებელი ლახტის სასწრაფოდ დადება**<br><br>1. ჭრილობიდან ალისფერი სისხლი გამოედინება შადრევანივით<br>2. ჭრილობაზე წარმოიქმნება გამონადენი სისხლის ბურთულა<br>3. დიდი სისხლის ლაქა დაზარალებულის ტანსაცმელზე ან სისხლის გუბე მის სიახლოვეს |
| **როდის არის აუცილებელი კიდურებზე არტაშანის დადება**<br><br>1. ჩანს ძვლის ნამსხვევები<br>2. ჩივილი ტკივილზე<br>3. კიდურების დეფორმირებისა და შეშუპების შემთხვევაში<br>4. მიჭყლეტილი კიდურების განთავისუფლებისას<br>5. შხამიანი გველების კბენის დროს | **როდის გადაჰყავთ დაზარალებული ფიცარზე მწოლიარე მუხლებქვეშ ამოდებული ჩალიჩით ან ვაკუუმური საკაცით „ ბაყაყისებრ" მდგომარეობაში"**<br><br>1. როცა არსებობს ეჭვი მენჯის ძვლის მოტეხილობაზე<br>2. როდესაც ეჭვი არსებობს ბარძაყის ძვლის ზედა მესამედის მოტეხილობაზე და მენჯ-ბარძაყის სახსრის დაზიანებაზე<br>როდესაც არსებობს ეჭვი ხერხემლისა და ზურგის ტვინის დაზიანებაზე |
| **როდის არის აუცილებელის დამცავი ლახტების დადება**<br><br>მიჭყლეტვის სინდრომის შემთხვევაში კიდურების განთავისუფლებამდე | **როდის გადაყავთ დაზარალებული მხოლოდ პირქვე (მუცელზე მწოლიარე) კომის მდგომარეობაში**<br><br>1. ხშირი ღებინებისას<br>2. ზურგის დამწვრობის შემთხვევაში<br>3. როცა ვეჭვობთ ზურგის ტვინის დაზიანებას, როდესაც ხელთ გვაქვს ბრეზენტის საკაცე |
| **როდის შეიძლება დაზარალებულის გადაყვანა მხოლოდ ზურგზე მწოლიარე აწეული ან მუხლებში მოხრილი ფეხებით.**<br><br>1. მუცლის ღრუს გამჭოლი ჭრილობის დროს<br>2. სისხლის დიდი დანაკარგის დროს ან როცა არსებობს ეჭვი შინაგან სისლდენაზე | **როდის გადაჰყავთ დაზარალებული მჯდომარე ან ნახევრად მჯდომარე მდგომარეობაში**<br><br>1. გულმკერდის შემავალი ჭრილობის დროს<br>2. კისრის ჭრილობის დროს |

## 3.21. საშიში დაზიანებებისა და მდგომარეობის ნიშნები

| | |
|---|---|
| უეცარი სიკვდილის ნიშნები (როდესაც ყოველი წამი შეიძლება გახდეს დამღუპველი)<br>1. უგონოდ ყოფნა<br>2. როცა არ არის გუგების რეაქცია სინათლეზე<br>3. როდესაც საძილე არტერიაზე არ ისინჯება პულსი | კომის ნიშნები<br>1. გონების დაკარგვა 4 წთ-ზე მეტ ხანს<br>2. აუცილებლად ისინჯება პულსი საძილე არტერიაზე |
| ბიოლოგიური სიკვდილის ნიშნები (როდესაც რეანიმაციის ჩატარებას აზრი არ აქვს)<br>1. თვალის რქოვანას გაშრობა (წარმოიქმნება ვერცხლისფერი ბზინვარება)<br>2. გუგის დეფორმაცია თვალზე თითის ფრთხილად დაჭერისას.<br>3. გვამური ლაქების გაჩენა | არტერიული სისხლდენის ნიშნები<br>1. ალისფერი სისხლი გამოდის ჭრილობიდან შადრევანივით<br>2. ჭრილობაზე ჩნდება გამოსული სისხლის ბურთულა<br>3. დიდი სისხლის ლაქა ტანსაცმელზე ან სისხლის გუბე დაზარალებულთან ახლოს |
| წყალში დახრჩობის ნიშნები<br>1. სახისა და კისრის კანის სილურჯე<br>2. სისხძარღვების შესიება კისრის არეში<br>3. პირიდან და ცხვირიდან დიდი რაოდენობით ქაფის გამოყოფა | ვენური სისხლდენის ნიშნები<br>1. სისხლი პასიურად ჩამოედინება ჭრილობიდან<br>2. სისხლს აქვს ძალიან მუქი ფერი |
| მკრთალი დახრჩობის ნიშნები<br>1. კანის ღია ნაცრისფერი ფერი გაგანიერებული გუგა, რომელიც არ რეაგირებს სინათლეზე<br>2. საძილე არტერიაზე პულსის არ არსებობა<br>3. პირის კიდეებზე ხშირ შემთხვევაში მშრალი, ცხვირსახოცით ადვილად მოსაცილებელი ქაფი | გულწასვლის ნიშნები<br>1. მცირე ხნით გრძნობის დაკარგვა (არაუმეტეს 3-4 წუთისა)<br>2. გრძნიბის დაკარგვას წინ უსწრებს: უეცარი სისუსტე, თავბრუს ხვევა, ყურებში შუილი და თვალებში დაბნელება |
| გადაციების ნიშნები<br>1. შეციება და კანკალი<br>2. ცნობიერების დარღვევა:<br>ა. შენელებულობა და აპათია<br>ბ. ბოდვა და ჰალუცინაციები<br>ც. არაადექვატური ქმედება<br>3. ტუჩების გალურჯება ან გაფერმკრთალება<br>4. სხეულის ტემპერატურის დაცემა | ქვედა კიდურების დაჭყლეტვის ნიშნები (აღინიშნება 15 წთ-ის შემდეგ დაჭყლეტილი კიდურის<br>1. განთავისუფლების შემდეგ — მდგომარეობის უეცარი გაუარესება კიდურებზე შეშუპოების წარმოქმნა<br>2. კუნთების რელიეფის გაქრობით<br>3. პულსის არ არსებობა ტერფებთან წითელი ან ვარდისფერი შარდი |
| ძვლების ღია მოტეხილობების ნიშნები<br>1. ჩანს ძვლის ნამსხვრევები<br>2. კიდურის დეფორმაცია და შეშუპება<br>3. ჭრილობის არსებობა, ხშირად სისხლდენით | ქვედა კიდურების გაყინვის ნიშნები<br>1. მგრძნობიარობის დაკარგვა<br>2. ფერმკთალი, მაგარი და ცივი კანი<br>3. მაჯაზე პულსის არ არსებობა<br>4. თითით დაკაკუნებისას — „ხის" ხმა |
| კიდურების ძვლების დახურული მოტეხილობების ნიშნები<br>1. ძლიერი ტკივილი კიდურების<br>2. მოძრაობისას ან მათი დატვირთვის დროს<br>3. კიდურების დეფორმირება და შეშუპება<br>4. კანის მოლურჯო ფერი | |

# 4. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

4.1. წინამდებარე ინსტრუქციის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მმართველობითი დოკუმენტების სისტემით დადგენილი წესის შესაბამისად.

4.2. დანართი 1 პირველადი დახმარების გაწევა კითხვა-პასუხი

4.3. დანართი 2 პირველადი დახმარების გაწევის თვალსაჩინო პლაკატები

დანართი 2.

# პირველადი დახმარების გაწევის თვალსაჩინო პლაკატები



## თუ არ არის გრძნობაზე და არ ესინჯება პულსი საძილე არტერიაზე



### 1 დარწმუნდით
რომ საძილე არტერიაზე პულსი არ ესინჯება



**დაუშვებელია!**

დროის დაკარგვა სუნთქვის ნიშნების განსაზღვრის მიზნით

### 2 განთავისუფლდეს
გულმკერდი ტანსაცმლისაგან და გაეხსნას ქამარი



**დაუშვებელია!**

გულმკერდზე დარტყმის მიყენება და გულის არაპირდაპირი მასაჟის ჩატარება, გულმკერდის ტანსაცმლისაგან განთავისუფლებისა და წელზე ქამრის შეუხსნელად

## თუ არ არის გონზე და არ ესინჯება პულსი საძილე არტერიაზე

### 3 დაიფაროს
ორი თითით მახვილისებრი მორჩი



**დაუშვებელია!**
დარტყმის განხორციელება მახვილისებრ მორჩზე ან ლავიწის არეში

### 4 განხორციელდეს
გულმკერდზე მუშტის დარტყმა



**დაუშვებელია!**
გულმკერდზე მუშტის დარტყმა
საძილე არტერიაზე
პულსის არსებობისას

## 5 დაიწყოს გულის არაპირდაპირი მასაჟი



გულმკერდის ჩაზნექვის სიღრმე უნდა იყოს არანაკლებ 3-4 სმ

**დაუშვებელია!**

ხელისგულის განთავსება დაზარალებულის გულმკერდზე ისე, რომ ცერა თითი მიმართული იყოს მაშველისკენ

## 6 გაკეთდეს ხელოვნური სუნთქვის „ჩაბერვა"



მოუჭირეთ ცხვირზე, დაუკავეთ ნიკაპი, დაზარალებულს გადაუწიეთ თავი და გაუკეთეთ მაქსიმალური ჩაბერვა პირში

**დაუშვებელია!**

ხელოვნური სუნთქვის „ჩაბერვის" გაკეთება, წინასწარ ცხვირზე ხელის მოჭერის გარეშე

## 7 ჩატარდეს

### რეანიმაციის კომპლექსი




თუ გუგები შევიწროვებულია მაგრამ გულისცემა არ არის რეანიმაცია უნდა გაგრძელდეს სამედიცინო პერსონალის მოსვლამდე

## შესრულების წესები

– თუ დახმარებას უწევს ერთი მაშველი, მაშინ ყოველი 15 დაწოლის შემდეგ უნდა განხორციელდეს 2 „ჩაბერვა".

– თუ დახმარებას უწევს მაშველთა ჯგუფი, მაშინ ყოველი 5 დაწოლის შემდეგ უნდა განხორციელდეს 2 „ჩაბერვა".

– სისხლის გულთან სწრაფი დაბრუნებისათვის — აუწიეთ ფეხები დაზარალებულს.

– თავის ტვინის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის — დაზარალებულს თავზე დაედოს ცივი საფენი.

– კუჭიდან ჰაერის გამოდევნისათვის– გადავაბრუნოთ დაზარალებული მუცელზე და დავაწვეთ მუშტებით ჭიპის ქვემოთ.

# 8 ორგანიზება გაუკეთდეს პარტნიორების მოქმედებას




**დაუშვებელია!**

მაშველების ერთმანეთის პირისპირ განთავსება და პარტნიორის უკნიდან შემოვლა

პირველი მაშველი

ატარებს გულის არაპირდაპირ მასაჟს, იძლევა ბრძანებას „ჩაბერვა" და აკონტროლებს გულმკერდის ამოწევის მიხედვით ჩაბერვის ეფექტურობას

მეორე მაშველი

ატარებს ხელოვნურ სუნთქვას, აკონტროლებს გუგების რეაქციას, საძილე არტერიაზე პულსს და პარტნიორებს აბებინებს დაზარალებულის მდგომარეობას: „არის გუგების რეაქცია! არ არის პულსი! არის პულსი! და ა.შ."

მესამე მაშველი

დაზარალებულს უწევს ფეხებს მაღლა, გულისათვის სისხლის უკეთ მიწოდებისათვის და ემზადება პარტნიორის შესაცვლელად, რომელიც ატარებს გულის არაპირდაპირ მასაჟს.

## 1 განხორციელდეს
გულმკერდზე მუშტის დარტყმა



დარტყმა შეიძლება განხორციელდეს დაზარალებულის „მჯდომარე" და „მწოლიარე" მდგომარეობაში

## 2 დააწვინეთ
დაზარალებული ზურგზე




რეანიმაციის კომპლექსი შეიძლება ჩაუტარდეს მხოლოდ ზურგზე მწოლიარე დაზარალებულს, სწორ და მაგარ ზედაპირზე

## როცა დაზარალებული არ არის გონზე და საძილე არტერიაზე ესინჯება პულსი

## კომატოზური მდგომარეობა

### 1 დააწვინეთ დაზარალებული მუცელზე

ექიმების მოსვლამდე დაზარალებული საჭიროა მოთავსდეს მხოლოდ „მუცელზე" მწოლიარე მდგომარეობაში



**დაუშვებელია!**

კომაში ჩავარდნილი ადამიანის დატოვება ზურგზე მწოლიარე მდგომარეობაში

### 2 მოაცილეთ ლორწო და მუცლიდან ამონაღები



ხელსახოცით ან სპეციალური რეზინის ბალონით პერიოდულად გაასუფთავდეს პირის ღრუ ლორწოსაგან და მუცლიდან ამონაღებისაგან

### 3 დაადეთ თავზე ცივი




შეიძლება გამოვიყენოთ ბოთლი ყინულით, ცივი წყლით, ან თოვლით, ან ჰიპოთერმიული პაკეტი

# 1 მიაჭირეთ

## თითები ან მუშტი არტერიას მითითებულ წერტილებში



მსხვილ სისხლგამტარ ძარღვებზე დაჭერის ადგილები



საძილე არტერიის მიჭერა ჭრილობაზე ან ჭრილობის ქვემოთ



ხელის გულის არტერიული სისხლდენის დროებითი შეჩერება



მხრის არტერიაზე მიჭერა ჭრილობის ზევით



თეძოს არტერიის მუშტით მიჭერა

ლახტის დადებამდე დაზიანებული კიდური უნდა დავტოვოთ აწეულ მდგომარეობაში

კიდურებზე არტერიის მიჭერის ადგილი უნდა იყოს სისხლდენის ადგილის ზემოთ. კისერზე და თავზე — ჭრილობის ქვევით ან ჭრილობაზე

**დაუშვებელია!**

დროის დაკარგვა კიდურების ტანსაცმლისაგან განთავისუფლებაზე

# 2 დაედოს



მოტარდეს ლახტი კიდურს და მოიჭიმოს მაქსიმალური ძალით




მიეჭიროს თითი ლახტის პირველ ხვიას და შემოწმდეს პულსის არარსებობა



ლახტის მომდევნო ხვიები გადაეჭიროს ნაკლები ძალით



ჩამკეტი მარყუჟი შემოტარდეს ლახტის გარშემო



დაიჭიმოს მარყუჟი და დამაგრდეს ლახტის თავისუფალი ბოლოს ქვეშ



მარყუჟის ქვეშ ჩავდოთ წერილი ლახტის დადების დროის მითითებით

**კიდურებზე ლახტის დადება შეიძლება არაუმეტეს 1 საათისა**

## სისხლ შემაჩერებელი ლახტი (უმჯობესია ლახტი „ალფა")



კისერზე ლახტსადებენ პულსის კონტროლის გარეშე, ექიმის მოსვლამდე

ჭრილობის ჰერმეტიზაციისათვის იყენებენ სპეციალურ სახვევს „კოლეტექსს" ან მრავალფენოვან ნაჭერს (დოლბანდის პაკეტი)

კიდურის გალურჯების და შეშუპების შემთხვევაში (ლახტის არასწორად დადების დროს)

საჭიროა სასწრაფოდ დაედოს ლახტი ხელმეორედ




არააქვს პულსი






ბარძაყზე ლახტს ადებენ გლუვი მყარი საგნით (დოლბანდი) მუხლქვეშა ღრმულში პულსის კონტროლით

# როგორ დავადოთ ჭრილობას სახვევი



## დაიფაროს

**1** ჭრილობა სუფთა საფენით ისე, რომ ჭრილობის წიბოები არ გამოჩნდეს





**აკრძალულია!**

**ჭრილობის წყლით გაბანა**

## გადაეხვეს

**2** საფენი დოლბანდით ან დამაგრდეს ლეიკოპლასტირით



**აკრძალულია!**

**ჭრილობაში სპირტიანი ან ნებისმიერი სხვა ხსნარის ჩასხმა**



## როგორ დავადოთ ჭრილობას სახვევი



### 1 დაეჭიროს

ხელისგული ჭრილობას ისე, რომ არ შეაღწიოს ჰაერმა



**დაუშვებელია!**

**შემთხვევის ადგილზე უცხო სხეულების ჭრილობიდან ამოღება**

### 2 დაედოს

ჰერმეტული სახვევი ან ლეიკოპლასტირი



**ტრანსპორტირება**

**შეიძლება მხოლოდ „მჯდომარე" მდგომარეობაში**

# როგორ დავადოთ ჭრილობას სახვევი

## მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობა

### 1 დაიფაროს

ჭრილობა სუფთა საფენით



### 2 დამაგრდეს

ლეიკოპლასტირით საფენი, რომელიც მთლიანად ფარავს ჭრილობის კიდეებს



### 3 აეწიოს

ფეხები და გაეხსნას წელზე ქამარი

შეძლებისდაგვარად მუცელზე დავადოთ ცივი



დახმარების მოლოდინში და ტრანსპორტირებისას — მხოლოდ „ზურგზე მწოლიარე" მდგომარეობაში, ფეხები აწეული და მუხლებში მოხრილი



**აკრძალულია!**

- მუცლის ღრუდან გამოვარდნილი ორგანოების გასწორება
- წყლის მიწოდება

# როგორ დავამუშაოთ დამწვრობები შემთხვევის ადგილზე



## დამწვრობის დამუშავების წესი, დამწვრობისაგან გაჩენილი ბუშტების დაუზიანებლად

გაჩერდეს ცივი წყლის ჭავლის ქვეშ 10-15 წუთის მანძილზე

და/ან

დაედოს ცივი 20-30 წუთის განმავლობაში






**არ შეიძლება!**

დამწვარ ზედაპირზე ზეთებისა და ცხიმების წასმა

## დამწვრობის დამუშავების წესი, კანისა და დამწვრობისაგან გაჩენილი ბუშტების მთლიანობის დაზიანებით

**1** დაიფაროს მშრალი სუფთა ნაჭრით

**2** მშრალი ნაჭრის ზემოდან დაედოს ცივი








**აკრძალულია!**

- წყლით გაბანა
- დამწვარი ზედაპირის გადახვევა

# თვალის ტრავმები

## თვალის ან ქუთუთოს ჭრილობა

**1** დაიფაროს თვალი სუფთა საფენით

ყველა ოპერაცია დაზარალებულს უნდა ჩაუტარდეს მწოლიარე მდგომარეობაში



**2** დაფიქსირდეს საფენი სახვევით და აუცილებლად დაიფაროს იგივე საფენით მეორე თვალიც გუგების მოძრაობის შესაჩერებლად



**არ შეიძლება!**

გაჭრილი, ან ნაჩხვლეტი თვალისა და ქუთუთოების ჩამობანა

## თვალების ან ქუთუთოების დამწვრობა მწვავე ქიმიური ნივთიერებებით

**1** ფრთხილად გაეწიოს ქუთუთოები თითებით და გაჩერდეს ცივი წყლის ჭავლის ქვეშ



**2** გაიბანოს თვალი ისე, რომ წყლის ჭავლი მიემართებოდეს ცხვირიდან გარე მიმართულებით

**დაუშვებელია!**

გამანეიტრალებელი სითხეების ხმარება თვალში მჟავე ან მწვავე ნივთიერებების მოხვედრისას (მჟავა, ტუტე)

# რა უნდა გააკეთდეს კიდურების ძვლების მოტეხილობის დროს

## დაფიქსირდეს

## კიდურები ასაწყობი არტაშანის მეშვეობით



წინა მხრის ძვლისა და იდაყვის სახსრის დაფიქსირება



წვივის ძვლებისა და წვივ-ტერფის სახსრების დაფიქსირება

**ღია მოტეხილობებისას ჯერ დაედოს სახვევი და მხოლოდ ამის შემდეგ – არტაშანი**

„ბაყაყისებრი" მდგომარეობა



ამოვუდოთ მისივე ტანსაცმლისაგან დამზადებული ჩალიჩი მუხლებქვეშ

## დაფიქსირდეს

## კიდური ხელთ არსებული საშუალებებით




წვივის, მენჯბარძაყის ძვლებისა და მუხლის სახსრის დაფიქსირება

**არ შეიძლება!**

**სალტეების გამოყენება თუ დაზარალებული წევს „ბაყაყისებრ" მდგომარეობაში**

# კიდურების ძვლების მოტეხილობა

# დაზარალებულის გადაყვანის წესი „ნიდერლანდური ხიდის“ მეთოდით



## პირველ მაშველს

უჭირავს დაზარალებულის თავი და მხრები

## მეორე მაშველი

უწევს წელს, უჭერს დაზარალებულს ხელებს აკონტროლებს სხვა მაშველთა მოქმედებას და იძლევა ბრძანებას „ერთი-ორი! ავწიეთ!“

## მესამე მაშველი

იჭერს დაზარალებულის ტერფებს და წვივებს

ამგვარი ქმედებით დაზარალებულის გადაყვანა შეიძლება „მუცელზე მწოლიარე“ მდგომარეობაშიც

საერთო ამოცანა– გავაჩეროთ დაზარალებულის სხეული ჰორიზონტალურ მდგომარეობაში

# დაზარალებულის საკაცით გადაყვანა



კიბეზე ზემოთ, სანიტარული ტრანსპორტში შეყვანის დროს– თავით წინ

კიბეზე ქვევით, სანიტარული ტრანსპორტიდან გამოყვანისას –ფეხებით წინ

წინმავალნი ყურადღებით იყურებიან ფეხქვეშ აკონტროლებენ მოძრაობას და აფრთხილებენ უკანმავალთ ყველა დაბრკოლების შესახებ

უკანმავალი თვალყურს ადევნებს დაზარალებულის მდგომარეობას და აუცილებლობის შემთხვევაში გასცემს ბრძანებას „სდექ! დაიწყო ღებინება!" ან „სდექ! დაკარგა გონიება"

# ელექტრული დენის ზემოქმედებისაგან განთავისუფლების წესები



1000 ვ-ზე მაღალი ძაბვის შემთხვევაში საჭიროა:

- დიელექტრიკული ხელთათმანის, რეზინის ბოტების ან კალოშების ჩაცმა
- იზოლირებელი შტანგის ან მაიზოლირებელი მარწუხის აღება

- 6-20 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გამტარების გადამოკლება სპეციალური ინსტრუქციის შესაბამისად
- მაიზოლირებელი შტანგით მოცილდეს დაზარალებულს სადენი
- გამოთრეულ იქნას დაზარალებული ტანსაცმელში ხელის ჩავლებით გამტარის მიწასთან შეხების ადგილიდან ან ძაბვის ქვეშ მყოფი დანადგარიდან 10 მ-ის მოშორებით.

**არ შეიძლება!**

**პირველადი დახმარების ჩატარება, სანამ დაზარალებულს არ გავანთავისუფლებთ ელექტროდენის ზემოქმედებისაგან**



**მთავარი ამოცანა –** დაზარალებულის სიმაღლიდან რაც შეიძლება სწრაფად დაშვება იმისათვის, რომ სასწრაფოდ ჩატარდეს პირველადი დახმარება უფრო მეტად მოხერხებულ და უსაფრთხო პირობებში (მიწაზე, მოედანზე)

**არ შეიძლება!**

**დროის დაკარგვა სიმაღლეზე დახმარების გასაწევად**

ელექტროდენით დაშავების დროს

## „ბიჯური" ძაბვის ზონაში გადაადგილების წესები




ელექტრული სადენის მიწასთან შეხების წერტილიდან 10 მ-ის რადიუსში შეიძლება „ბიჯური" ძაბვის ზონაში მოხვედრა

„ბიჯური" ძაბვის ზონაში გადაადგილება უნდა ხდებოდეს დიელექტრიკული ბოტებით ან კალოშებით ან „ბატის ნაბიჯით" გადადგმული ფეხის ტერფი არ უნდა ასცდეს მიწას და წინიდან (გახოხებით) უნდა მიედგას მეორე ფეხის წვერს

**არ შეიძლება!**

**ფეხსაცმლის ლანჩების მოშორება მიწის ზედაპირიდან, აგრეთვე გრძელი ნაბიჯების გადადგმა**

**არ შეიძლება!**

**ჩამოვარდნილ სადენთან სირბილით მიახლოება**

# პირველადი დახმარება

## ელექტროდენით დაშავების დროს

### თუ დაზარალებული არ არის გრძნობაზე და არ ესინჯება პულსი საძილე არტერიაზე




### თუ დაზარალებული არ არის გრძნობაზე, მაგრამ ესინჯება პულსი საძილე არტერიაზე




გაანთავისუფლეთ დაზარალებული დენის ზემოქმედებისაგან (არ დაივიწყო საკუთარი უსაფრთხოება!)

საძილე არტერიაზე პულსის არქონის შემთხვევაში განახორციელეთ დარტყმა გულმკერდის არეში და დაიწყეთ რეანიმაცია

კომის შემთხვევაში – დააწვინეთ მუცელზე

ელექტრო დამწვრობის და ჭრილობების შემთხვევაში–დაადეთ სახვევი

კიდურების ძვლების მოტეხილობის შემთხვევაში– არტაშანი

გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება

**დაუშვებელია!**

დაზარალებულზე შეხება, თუ იგი წინასწარ არ განთავისუფლდა დენის ზემოქმედებისაგან

რეანიმაციული ღონისძიებების შეწყვეტა ბიოლოგიური სიკვდილის ნიშნების გამოვლენამდე

## რა უნდა გააკეთდეს სიმაღლიდან ჩამოვარდნის იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებული გონზეა



### 1 შეფასდეს დაზარალებულის მდგომარეობა

**იძულებითი „ბაყაყისებრი" მდგომარეობა–არის მძიმე და საშიში დაზიანებების უტყუარი ნიშანი**

დაზარალებულს არ შეუძლია ფეხების მდებარეობის შეცვლა



ტერფები გადაწეულია აქეთ-იქეთ, მუხლები წამოწეულია და ერთმანეთს დაცილებული

ასეთ დაზიანებებს განეკუთვნება:

- მენჯის ძვლის მოტეხილობა, მენჯბარძაყის სახსრების დაზიანება
- თეძოს ძვლის მოტეხილობები
- ხერხემლის დაზიანება
- შინაგანი ორგანოების დაზიანებები და შინაგანი სისხლდენა

**არ შეიძლება!**

**დაზარალებულის გადაყვანა ტანსაცმლის გახდა ან განძრევა**

### 2 დაზარალებულის გადაწვენა ციცხვისებურ საკაცეზე



განვაცალკევოთ და გავშალოთ საკაცის ციცხვი



ფრთხილად შევაერთოთ საკაცის ციცხვი დაზარალებულის სხეულის ქვეშ

## 3 გადააწვინეთ დაზარალებული ვაკუუმურ ლეიბზე

დაუშვით დაზარალებული ვაკუუმურ ლეიბზე, ფრთხილად გაასალკევეთ საკაცის ციცხვი და გამოაცალეთ დაზარალებულს ქვემოდან



გამოიყენება:

- ბარძაყისა და წვივის ძვლის მოტეხილობისას
- ხერხემლის დაზიანებისას
- მენჯისა და მენჯბარძაყის სახსრების დაზიანებებისას

**დაუშვებელია!**

**დაზარალებულის დატოვება მეტალის საკაცეზე 10-15 წთ-ზე მეტი დროით**

## 4 დააფიქსირეთ დაზარალებული ვაკუუმურ ლეიბზე „ბაყაყისებურ" დგომარეობაში




პირველი მაშველი

აფიქსირებს ხერხემლის კისრის არეს

მეორე მაშველი

ფრთხილად წევს ლეიბს დაზარალებულის მუხლებთან

მესამე მაშველი

თავისუფალი ფეხით აკეთებს ჩალიჩს ტერფების მისაბჯენად და გამოტუმბავს ლეიბიდან ჰაერს

# მოქმედების გეგმა ავტო საგზაო შემთხვევისას

## თუ დაზარალებულს არა აქვს სიცოცხლის ნიშნები




## ავტო საგზაო შემთხვევები

- თუ დაზარალებული იმყოფება უგონოდ
- დავრწმუნდეთ საძილე არტერიაზე პულსის არსებობაში
- სწრაფად დააწვინეთ დაზარალებული მუცელზე
- გაუწმინდეთ პირის ღრუ ცხვირსახოცის ან ხელსახოცის საშუალებით
- სისხლდენისას – დაედოს სისხლის შემაჩერებელი ლახტი
- ჭრილობაზე — დაედოს სახვევი
- ძვლებისა და კიდურების მოტეხილობაზე ეჭვის გაჩენისას დაედოს – არტაშანი
- გამოიძახეთ „სასწრაფო დახმარება"

### დაუშვებელია!

- კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი დაზარალებული დავტოვოთ ზურგზე მწოლიარე
- თავქვეშ ბალიშის, ჩანთის და გადახვეული ტანსაცმლის ამოდება
- დაზარალებულის გადაყვანა ან გადათრევა უკიდურესი აუცილებლობის გარეშე (აფეთქების საშიშროება, ხანძარი და ა.შ.)

# მოქმედების სქემა წყალში ჩაძირვისას

## ჩაძირვა




ჩაძირულის წყლიდან ამოყვანის თანავე — გადააბრუნეთ პირქვე და დააზრევინეთ თავი მენჯქვეშ

გაუთავისუფლეთ პირი ბარეში სხეულებისაგან და ლორწოსაგან. მყისიერად დააწექით ენის ძირზე

ღებინებისა და ხველების რეფლექსების გამოვლენის თანავე — მიაღწიეთ მუცლიდან, ფილტვებიდან და სასუნთქი გზებიდან წყლის მთლიანად გამოდევნას.

თუ არ აღინიშნება პირღებინების მოძრაობები და პულსი — დააწვინეთ ზურგზე და დაიწყეთ რეანიმაცია. სასიცოცხლო ნიშნების გამოვლენისას — დააწვინეთ პირქვე, გამოდევნეთ წყალი ფილტვებიდან და მუცლიდან

გამოიძახეთ „სასწრაფო დახმარება"

**დაუშვებელია!**

- დაზარალებულის უმეთვალყურეოდ დატოვება (ნებისმიერ მომენტში შეიძლება გაჩერდეს გული)
- დაზარალებულის საკუთარი ძალებით გადაყვანა, თუ არის სამაშველო სამსახურის გამოძახების შესაძლებლობა

# მოქმედების სქემა გულწასულობის დროს

1



დარწმუნდით საძილე არტერიაზე პულსის არსებობაში

2



გაანთავისუფლეთ გულმკერდი ტანსაცმლისაგან და გაუხსენით წელზე ქამარი

3



აუწიეთ ფეხები

4



დააწექით მტკივნეულ წერტილზე

**დაუშვებელია!**

- მათბუნებლების დადება მუცელსა და წელზე მუცლის ტკივილისას და განმეორებითი გულის წასვლისას
- კვება შიმშილისაგან გულწასულობის შემთხვევაში

**გულწასულობა**

- თუ საძილე არტერიაზე პულსი არ ისინჯება---შეუდექით რეანიმაციის კომპლექსის ჩატარებას
- თუ საძილე არტერიაზე პულსი ისინჯება—აუწიეთ ფეხები, შეუხსენით საკინძე და წელზე ქამარი
- დააწექით მტკივნეულ წერტილს
- თუ 3 წუთის განმავლობაში გონზე არ მოვიდა—დააწვინეთ მუცელზე და თავზე დაადეთ ცივი
- მუცელში ტკივილისას ან განმეორებითი გულის წასვლისას—ცივი დაადეთ მუცელზე
- მზის დაკვრისას—გადაიყვანეთ გრილ ადგილზე, დაადეთ ცივი თავსა და მკერდზე
- შიმშილისაგან გულწასულობისას—დაალევინეთ ტკბილი ჩაი
- გულის წასვლის ყველა შემთხვევაში ექიმის გამოძახება აუცილებელია

## პირველადი დახმარების გაწევის უნივერსალური სქემა

**1. როგორ უნდა იმოქმედოს მაშველმა შემთხვევის ადგილზე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის დროს, უნივერსალური სქემის მიხედვით. (მიუთითეთ შესაბამისი სწორი პასუხები მეორე გრაფაში შემდეგნაირად: 1-1, 2-2, 3-3, 4-4, 5-5) (თავი 1)**

| | |
|---|---|
| ა. არ არის გრძნობაზე და არ ესინჯება პულსი საძილე არტერიაზე – (1) | ა. დავაწვინოთ მუცელზე და გავუწმინდოთ პირის ღრუ. (2) |
| ბ. არ არის გრძნობაზე, მაგრამ საძილე არტერიაზე ესინჯება პულსი – (2) | ბ. დავადოთ სალტეები ტრანსპორტირებისათვის (5) |
| ც. არტერიალური სისხლდენის დროს – (3) | ც. დავიწყოთ რეანიმაცია (1) |
| დ. ჭრილობების არსებობისას – (4) | დ. დავადოთ ლახტი (3) |
| ე. კიდურების ძვლების მოტეხილობის ნიშნების არსებობისას (5) | ე. დავადოთ სახვევი (4) |

## უეცარი სიკვდილი

**2. დაალაგეთ თანმიმდევრობით (1,2,3,....7,8) როგორ უნდა იმოქმედოს მაშველმა, თუ დაზარალებული არ არის გონზე და არ ესინჯება პულსი საძილე არტერიაზე? (თავი 2)**
ა. უნდა დარწმუნდეს, რომ საძილე არტერიაზე პულსი არ ესინჯება. (1)
ბ. დაიწყოს გულის არაპირდაპირი მასაჟი. (6)
ც. განახორციელოს მუშტით დარტყმა გულმკერდის არეში. (4)
დ. ორი თითით დაიფაროს მახვილისებრი მორჩი. (3)
ე. გაუთავისუფლოს გულმკერდი ტანსაცმლისაგან და შეუხსნას წელზე ქამარი. (2)
ფ. განახორციელოს ხელოვნური სუნთქვის „ჩაბერვა". (5)
გ. ჩაატაროს რეანიმაციის კომპლექსი. (7)
ჰ. ორგანიზება გაუკეთოს პარტნიორთა ქმედებას მათი იქ ყოფნის შემთხვევაში. (8)

**3. რა ეკრძალება მაშველს დაზარალებულის პირველადი დახმარების დროს, თუ მას არ ესინჯება პულსი და არა არის გრძნობაზე? (თავი 2)**
ა. დაკარგოს დრო, სუნთქვის ნიშნების განსაზღვრაზე.
ბ. განახორციელოს დარტყმა გულმკერდზე და ჩაუტაროს გულის არაპირდაპირი მასაჟი, თუ აცვია ტანსაცმელი და წელზე არ აქვს შეხსნილი ქამარი
ც. მიაყენოს დარტყმები მახვილისებრ მორჩისა ან ლავიწის ძვლის არეში
დ. მიაყენოს დარტყმა საძილე არტერიაზე პულსის არსებობისას
ე. გააკეთოს დაზარალებულის ხელოვნური სუნთქვის „ჩაბერვა", ცხვირზე თითების მოჭერის გარეშე
ფ. მაშველთა ჯგუფს — განთავსდნენ ერთმანეთის საპირისპიროდ და შემოუარონ პარტნიორს უკნიდან

**4. როგორ უნდა განვახორციელოთ სწორად „ჩაბერვა" ხელოვნური სუნთქვისას? (თავი 2)**
ა. გავაკეთოთ მაქსიმალური „ჩაბერვა" დაზარალებულის პირში.
ბ. მოვუჭიროთ თითები დაზარალებულის ცხვირს.
ც. დაზარალებულს თავი გადავუწიოთ უკან.
დ. დავუჭიროთ ნიკაპი დაზარალებულს.

**5. როდემდე უნდა გაგრძელდეს რეანიმაცია როცა დაზარალებულს გუგები შევიწროებულია აქვს, მაგრამ არ აქვს გულისცემა? (თავი 2)**
ა. მედპერსონალის მოსვლამდე

**6. როგორია რეანიმაციის კომპლექსის ჩატარების წესი. (თავი 2)**
ა. თუ მაშველი მოქმედებს მარტო, მაშინ ხელოვნური სუნთქვის 2 „ჩაბერვას" აკეთებს გულმკერდზე ყოველი 15 დაწოლის შემდეგ.
ბ. თუ დახმარებას უწევს მაშველთა ჯგუფი, მაშინ 2 ჩაბერვა --- გულმკერდზე 5 დაწოლის შემდეგ.
ც. გულთან სისხლის სწრაფად დაბრუნებისათვის დაზარალებულს აეწიოს ფეხები.
დ. თავის ტვინის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად თავზე დაედოს ცივი.
ე. მუცლის ღრუდან ჰაერის გამოსადევნად, დაზარალებულს დავაწვეთ მუშტებით ჭიპქვეშ

**7. დაზარალებულის რა მდგომარეობაში ყოფნის დროსაა დასაშვები გულმკერდზე მუშტის დარტყმის განხორციელება შეზღუდულ გარემოში რეანიმაციის ჩატარებისას? (თავი 2)**
ა. დაზარალებული წევს.
ბ. დაზარალებული ზის.

**8. რა მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს დაზარალებული შეზრუდულ გარემოში რეანიმაციის კომპლექსის ჩატარების დროს. (თავი 2)**
ა. მხოლოდ მდგომარეობაში „ზურგზე მწოლი"

**9. როგოგორ უნდა იყოს ორგანიზებული მაშველთა ჯგუფის მოქმედებები (მაგალითად სამის) როდესაც ისინი უწევენ დაზარალებულს პირველად დახმარებას? (თავი 2)**

| | |
|---|---|
| 1.პირველი მაშველი | ატარებს ხელოვნურ სუნთქვას, აკონტროლებს გუგების რეაქციას, პულსს საძილე არტერიაზე და ატყობინებს პარტნიორებს: „არის გუგების რეაქცია! არ არის პულსი! და სხვ. (2) |

| | |
|---|---|
| 2.მეორე მაშველი | უწევს ფეხებს დაზარალებულს გულთან სისხლის სწრაფად დაბრუნებისათვის და ემზადება პარტნიორის შესაცვლელად, რომელიც ატარებს გულის არაპირდაპირ მასაჟს.(3) |
| 3.მესამე მაშველი | ატარებს გულის არაპირდაპირ მასაჟს, იძლევა ბრძანებას „ჩაბერვა" და აკონტროლებს ჩაბერვის ეფექტურობას გულმკერდის ამოწევის მიხედვით. (1) |

## კომატოზური მდგომარეობა

**10. რას ნიშნავს ტერმინი „დაზარალებულის კომატოზური მდგომარეობა"? (თავი 3)**
ა. არ არის გრძნობაზე, მაგრამ აქვს პულსი საძილე არტერიაზე
**11. როგორია მაშველის მოქმედებების თანმიმდევრობა როდესაც დაზარალებული იმყოფება კომატოზურ მდგომარეობაში. (თავი 3)**
ა. დავაწვინოთ დაზარალებული მუცელზე (1)
ბ. მოვაცილოთ ლორწო და მუცლიდან ამონაღები (2)
ც. დავადოთ თავზე ცივი (3)
**12. როგორ მდგომარეობაში უნდა მოვათავსოთ კომაში მყოფი დაზარალებული, სამედიცინო პერსონალის მოსვლამდე? (თავი 3)**
ა. მუცელზე მწოლიარე
**13. რით უნდა მოვაცილოთ ლორწო კომაში მყოფ დაზარალებულს? (თავი 3)**
ა. ხელსახოცით.
ბ. რეზინის ბალონით.
ც. ხელთ არსებული ნებისმიერი სტერილური საშუალებით.
**14. ჩამოთვლილთაგან, რომელი საშუალებების გამოყენება შეიძლება კომაში მყოფი დაზარალებულისთვის თავზე დასადებად? (თავი 3)**
ა. ყინულიანი პატარა ბოთლის.
ბ. თოვლიანი, ყინულიანი ან ცივი წყლით სავსე ბოთლის.
ც. ჰიპოთერმული პაკეტის.

## არტერიული სისხლდენა

**15. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მოქმედება უნდა ჩატარდეს პირველ რიგში არტერიული სისხლდენის დროს? (თავი 4)**
ა. სისხლძარღვი თითებით ან მუშტით მიეჭიროს მის ქვეშ არსებულ ძვალს შესაბამის წერტილებში
**16. რა პირობების შესრულებაა საჭირო არტერიული სისხლდენის შესაჩერებლად? (თავი 4)**
ა. კიდურებზე არტერიის მიჭერის წერტილი უნდა იყოს სისხლდენის ადგილის ზემოთ.
ბ. კისერზე ან თავზე არტერიის მიჭერის წერტილი უნდა იყოს ჭრილობაზე ან ჭრილობის ქვემოთ.
ც. ლახტის დადებამდე დაზიანებული კიდური უნდა გაჩერდეს აწეულ მდგომარეობაში.
**17. მიუთითეთ დაზიანებულ კიდურზე არტერიალური სისხლდენისას სისხლშემაჩერებელი ლახტის სწორი თანმიმდევრობით დადების მოქმედებები. (თავი 4)**
ა. მოტარდეს ლახტი კიდურს და მოიჭიმოს მაქსიმალური ძალით. (1)
ბ. მოეჭიროს ლახტის პირველი ხვია და შემოწმდეს პულსის არარსებობა. (2)
ც. ლახტის მომდევნო ხვიები დაედოს ნაკლები ძალით. (3)
დ. ჩამკეტი მარყუჟი-ყულფი შემოტარდეს ლახტის გარშემო. (4)
ე. გამოიქაჩოს ყულფი და ჩაეტნოს ლახტის თავისუფალი ბოლოს ქვეშ. (5)
ფ. რეზინის მარყუჟის ქვეშ ჩაიდოს წერილი ლახტის დადების დროის მითითებით. (6)
**18. რა ზღვრული დროის განმავლობაში შეიძლება დაედოს კიდურზე სისხლშემაჩერებელი ლახტი? (თავი 4)**
ა. არაუმეტეს 1 საათისა.
**19. რა უნდა გაკეთდეს, თუ დაზარალებულისათვის ლახტის დადების შემდეგ შეიმჩნევა კიდურების დალურჯება და დაბუჟება? (თავი 4)**
ა. დაუყოვნებლივ ხელმეორედ დაედოს ლახტი.
**20. „ლახტს ადებენ პულსის კონტროლის გარეშე და ტოვებენ ექიმის მოსვლამდე. ჭრილობის ჰერმეტიზაციისათვის იყენებენ სპეციალურ სახვევს „კოლეტექსს" ან მრავალფენოვან საფენს". ამ შემთხვევაში სად უნდა დაედოს სისხლდენის შემაჩერებელი ლახტი? (თავი 4)**
ა. კისერზე

## ჭრილობები კიდურებზე

**21. როგორ უნდა დაედოს სახვევი კიდურებზე ჭრილობების დროს? (თავი 5)**
ა. დაიფაროს ჭრილობა „კოლეტექსის" ან ნებისმიერი სხვა სუფთა საფენით, ისე რომ ჭრილობის კიდეები დაიფაროს მთლიანად, შემდეგ შემოეხვეს დოლბანდი ან დამაგრდეს ლეიკოპლასტირით.
**22. რა იკრძალება კიდურების ჭრილობებზე სახვევების დადებისას? (თავი 5)**
ა. ჭრილობის წყლით გაბანა.
ბ. სპირტიანი ან სხვა ხსნარების ჭრილობაში ჩასხმა.

## გულმკერდის შემავალი ჭრილობები

**23. მიუთითეთ სახვევის ჭრილობაზე დადების სწორი თანმიმდევრობა გულმკერდის შემავალი ჭრილობების დროს (თავი 6)**
ა. ჭრილობაზე დაედოს ხელისგული, რათა არ შეაღწიოს მასში ჰაერმა. (1)
ბ. ჭრილობაზე დაედოს ჰერმეტული სახვევი ან ლეიკოპლასტირი. (2)
**24. რა იკრძალება პირველადი დახმარების დროს გულმკერდის გამჭოლი ჭრილობისას? (თავი 6)**
ა. შემთხვევის ადგილზე ჭრილობიდან გარეშე სხეულების ამოღება.

## მუცლის ღრუს შემავალი ჭრილობა

**25. მიუთითეთ სახვევის დადების თანმიმდევრობა მუცლის შემავალი ჭრილობის დროს. (თავი 7)**
ა. დაიფაროს ჭრილობა „კოლეტექსის" ან ნებისმიერი სხვა სუფთა საფენით, ისე რომ ჭრილობის ნაპირები მთლიანად დაიფაროს, დამაგრდეს ლეიკოპლასტირით. (1)
ბ. დაზარალებულს აეწიოს ფეხები და შეეხსნას წელზე ქამარი, შესაძლებლობის შემთხვევაში მუცელზე დაედოს ცივი. (2)
**26. ჩამონათვალიდან რა იკრძალება პირველადი დახმარების დროს დაზარალებულის მუცლის შემავალი ჭრილობის შემთხვევაში? (თავი 7)**
ა. წყლის მიცემა.
ბ. გამოვარდნილი ორგანოების უკან ჩალაგება.
**27. რა მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს დაზარალებული მუცლის შემავალი ჭრილობით მაშველების მოლოდინში? (თავი 7)**
ა. ზურგზე მწოლიარე მაღლა აწეული მუხლებში მოხრილი ფეხებით.

## თერმული დამწვრობები

**28. რა ქმედებების განხორციელებაა საჭირო შემთხვევის ადგილზე დამწრობის დამუშავებისას დამწვრობისაგან გაჩენილი ბუშტუკების მთლიანობის დარღვევის გარეშე? (თავი 8)**
ა. დამწვარი ადგილი 10-15 წუთის განმავლობაში გაჩერდეს ცივი წყლის ჭავლის ქვეშ ან/და დაედოს ცივი 20-30 წუთის განმავლობაში
**29. რა ქმედებების განხორციელებაა საჭირო შემთხვევის ადგილზე დამწვრობის ბუშტუკებისა და კანის მთლიანობის დარღვევის დამუშავებისას? (თავი 8)**
ა. დამწვრობის ადგილი დაიფაროს სუფთა მშრალი ქსოვილით და ზემოდან დაედოს ცივი
**30. რა ქმედებებია აკრძალული შემთხვევის ადგილზე დამწვრობის დამუშავებისას? (თავი 8)**
ა. დამწვრობის ადგილზე ცხიმებისა და ზეთების წასმა
ბ. დამწვრობის ბუშტუკებისა და კანის მთლიანობის დარღვევისას დამწვარი ადგილის წყლით ჩამობანა
ც. დამწვარი ზედაპირის შეხვევა

## თვალის ტრავმები

**31. რა უნდა გაკეთდეს დაზარალებულის თვალის ან ქუთუთოს ჭრილობისას პირველადი დახმარების დროს? (თავი 9)**
ა. ტრავმირებულ თვალზე დაეფინოს სუფთა ხელსახოცი, დაფიქსირდეს ის სახვევით და იმავე სახვევით დაიფაროს მეორე თვალიც თვალების მოძრაობის შეჩერების მიზნით
ბ. დაზარალებული მოთავსდეს ზურგზე მწოლიარე მდგომარეობაში.
**32. რა ქმედებებია განსახორციელებელი თვალების ან ქუთუთოების დამწვრობისას მწვავე ქიმიური ნივთიერებების მოხვედრის შემთხვევაში? (თავი 9)**
ა. ფრთხილად გადეწიოს ქუთუთოები თითებით და გამოირეცხოს თვალი ცივი წყლის ჭავლით ისე, რომ მან იდინოს ცხვირიდან გარე მიმართულებით.
**33. რა იკრძალება პირველადი დახმარების გაწევისას თვალისა და ქუთუთოს ჭრილობის, ან მწვავე (მძაფრი) ქიმიური ნივთიერებებით დამწვრობის დროს? (თავი 9)**
ა. თვალისა და ქუთუთოს ნაჩხვლეტი და ნაკვეთი ჭრილობების წყლით გაბანა.
ბ. მანეიტრალებელი ხსნარის გამოყენება მწვავე ნივთიერებების თვალში მოხვედრისას (მჟავა, ტუტე)

## კიდურების ძვლების მოტეხილობები

**34. მიუთითეთ ქმედება, რომელიც უნდა შესრულდეს ღია მოტეხილობის დროს პირველადი დახმარების აღმოჩენის დაწყებისას. (თავი 10)**
ა. დაედოს სახვევი
**35. ჩამონათვალთაგან რა უნდა გაკეთდეს ქვედა კიდურების მოტეხილობისას თუ მათი ფიქსაცია ხდება ხელთ არსებული საშუალებებით? (თავი 10)**
ა. აუცილებელია ფეხებს შორის ნაჭრის ჩალიჩის დადება.
ბ. თუ დაზარალებული წევს „ბაყაყისებრ" მდგომარეობაში, მუხლებს ქვეშ უნდა დაედოს ქსოვილის ჩალიჩი.

36. ჩამოთვლილთაგან რა არის აკრძალული „ბაყაყისებრ" მდგომარეობაში მწოლიარე დაზარალებულის პირველადი დახმარებისას? (თავი 10)
ა. კიდურების ფიქსირებისათვის სალტეების გამოყენება.
37. სამი მაშველიდან რომელი უნდა აკონტროლებდეს დანარჩენთა მოქმედებას და იძლეოდეს ბრძანებას „ერთი-ორი! ავწიეთ" „ნიდერლანდური ხიდის" მეთოდით დაზარალებულის გადაყვანის დროს კიდურების ძვლების მოტეხილობისას? (თავი 10)
ა. ის ვინც წევს მენჯს, უჭერს ხელებს დაზარალებულს
38. როგორ უნდა მოხდეს კიდურების ძვლების მოტეხილობის მქონე დაზარალებულის საკაცით გადაყვანა? (თავი 10)
ა. უკან მდგომი აკონტროლებს დაზარალებულის მდგომარეობას და აუცილებლობის შემთხვევაში იძლევა ბრძანებას „სდექ!" დაიწყო ღებინება!" ან „სდექ ! დაკარგა გრძნობა!"
ბ. კიბეებზე და სანიტარულ ტრანსპორტში ასვლისას თავით წინ
ც. წინ მიმავალი ათვალიერებს გზას და აფრთხილებს უკან მავალთ ყველა წინააღმდეგობის შესახებ

## ელექტრული დენით დაზიანება

39. მიუთითეთ რა და როგორი თანმიმდევრობით უნდა იმოქმედოს მაშველმა 1000 ვ-ს ზემოთ ელექტრო დენით დაზარალებულის ელექტროდენის ზემოქმედებისაგან გასათავისუფლებლად (სეგხ 6-20 კვ) (თავი 11)
ა. ჩაიცვას დიელექტრიკული ხელთათმანები, რეზინის ბოტები ან კალოშები. (1)
ბ. იზოლირებული შტანგით მოაცილოს სადენი დაზარალებულს. (4)
ც. დაამოკლოს საჰაერო ხაზის სადენები ხაზზე გამტარის შეგდებით სპეციალური ინსტრუქციის შესაბამისად. (3)
დ. აიღოს იზოლირებული შტანგა და მარწუხი. (2)
ე. გამოათრიოს დაზარალებული გამტარის მიწასთან შეხების ადგილიდან ან ძაბვის ქვეშ მყოფი მოწყობილობიდან, არანაკლებ 10 მ მანძილზე ტანსაცმელში ხელის ჩავლებით. (5)
40. რა არის მაშველის მთავარი ამოცანა, როდესაც დაზარალებული იმყოფება სიმაღლეზე? (თავი 11)
ა. რაც შეიძლება ჩქარა ჩამოიყვანოს დაზარალებული სიმაღლიდან
41. ელექტროსადენის მიწასთან შეხების ადგილიდან რა რადიუსშია „ბიჯური" ძაბვის ქვეშ მოხვედრის რისკი? (თავი 11)
ა. 10 მ
42. მიუთითეთ, როგორ უნდა მოხდეს გადაადგილება „ბიჯური" ძაბვის მოქმედების ზონაში. (თავი 11)
ა. „ბატის ნაბიჯით"
ბ. დიელექტრიკული ბოტებით ან კალოშებით
43. რითი ხასიათდება ბიჯური ძაბვის ზონაში, ბატის ნაბიჯით გადაადგილების ტექნიკა? (თავი 11)
ა. ნაბიჯის გადადგმისას ფეხი არ უნდა მოცილდეს მიწას, ისე რომ წინა ფეხის ქუსლი მიედგას უკანა ფეხის წვერს.
44. რა იკრძალება „ბიჯური" ძაბვის მოქმედების ზონაში გადაადგილებისას? (თავი 11)
ა. გრძელი ნაბიჯების გადადგმა.
ბ. ფეხსაცმლის ლანჩის მიწის ზედაპირიდან მოშორება.
ც. დაგდებულ სადენთან სირბილით მიახლოება.
45. მიუთითეთ მაშველის მოქმედების თანმიმდევრობა, თუ ელექტროდენის ზემოქმედებისაგან დაზარალებულს საძილე არტერიაზე არ ესინჯება პულსი და არ არის გრძნობაზე. (თავი 11)
ა. დაიწყოს გულის არაპირდაპირი მასაჟი (5)
ბ. დარწმუნდეს, რომ თვალის გუგები სინათლეზე რეაგირებენ (2)
ც. აუწიოს ფეხები (7)
დ. გაანთავისუფლოს დაზარალებული დენის ზემოქმედებისაგან (1)
ე. განახორციელოს გულმკერდის არეში მუშტის დარტყმა (4)
ფ. დარწმუნდეს საძილე არტერიაზე პულსის არ არსებობაში (3)
გ. დაადოს ცივი თავზე (8)
ჰ. გაუკეთოს ხელოვნური სუნთქვის „ჩაბერვა" (6)
ი. გამოიძახოს „სასწრაფო დახმარება" (10)
ჯ. გააგრძელოს რეანიმაცია (9)
46. მიუთითეთ მაშველის მოქმედების თანმიმდევრობა, თუ ელექტროდენის მოქმედებისაგან დაზარალებულს საძილე არტერიაზე ესინჯება პულსი და არ არის გრძნობაზე. (თავი 11)
ა. გაათავისუფლოს დაზარალებული ელექტროდენის მოქმედებისაგან (1)
ბ. დაადოს თავზე ცივი (4)
ც. გადააბრუნოს მუცელზე და გამოეწმინდოს პირი (3)
დ. დარწმუნდეს პულსის არსებობაში (2)
ე. ჭრილობებისას დაადოს სახვევი (5)
ფ. კიდურების მოტეხილობისას დაადოს სალტეები(6)
გ. გამოიძახოს სასწრაფო დახმარება (7)
47. რა არ დაიშვება ელექტროდენის ზემოქმედებისაგან დაზარალებულისათვის პირველადი დახმარების ჩატარებისას? (თავი 11)
ა. შეწყდეს სარეანიმაციო ღონისძიებები ბიოლოგიური სიკვდილის ნიშნების გაჩენამდე.

ბ. დაზარალებულზე შეხება ელექტროდენის ზემოქმედებისაგან განთავისუფლებამდე.

## სიმაღლიდან ჩამოვარდნა

**48. როგორ თანმიმდევრობით უნდა იმოქმედოს მაშველმა, თუ დაზარალებული ჩამოვარდა სიმაღლიდან და გრძნობა არ დაუკარგავს? (თავი 12)**

ა. შეაფასოს დაზარალებულის მდგომარეობა (1)

ბ. გადააწვინოს დაზარალებული ჩამჩისებურ საკაცეში (გახსნას და გაშალოს საკაცის ჩამჩა, ფრთხილად შეაერთოს ჩამჩები დაზარალებულის ქვეშ (2)

ც. დააწვინოს დაზარალებული ვაკუუმურ ლეიბზე, ფრთხილად გახსნას საკაცის ჩამჩა და გამოაცალოს ქვემოდან, დააფიქსიროს დაზარალებული „ბაყაყისებრ" მდგომარეობაში(3)

**49. როგორია დაზარალებულის „ბაყაყისებურ" მდგომარეობაში ყოფნის ნიშნები? (თავი 12)**

ა. მუხლები წამოწეული და გადაშლილი.

ბ. ტერფები გადაშლილია აქეთ-იქეთ გარე მიმართულებით.

ც. დაზარალებულს არ შეუძლია ფეხების მდებარეობის შეცვლა

**50. რა განსაკუთრებით საშიში დაზიანებები შეიძლება ჰქონდეს დაზარალებულს რომელიც იმყოფება „ბაყაყისებურ" მდგომარეობაში? (თავი 12)**

ა. ხერხემლის დაზიანება.

ბ. მენჯის ძვლის მოტეხილობა, მენჯბარძაყის სახსრის დაზიანება.

ც. თეძოს ძვლის მოტეხილობა.

დ. შინაგანი ორგანოების დახეთქვა და შინაგანი სისხლდენა.

**51. რა ქმედებებია აკრძალული თუ დაზარალებული ჩამოვარდა სიმაღლიდან, იმყოფება „ბაყაყისებურ მდგომარეობაში" და არის გონზე? (თავი 12)**

ა. დაზარალებულის გადაადგილება.

ბ. ტანსაცმლის გახდა

ც. ნება დავრთოთ დაზარალებულს იმოძრაოს

**52. რა დროზე მეტ ხანს არ შეიძლება დავტოვოთ სიმაღლიდან ჩამოვარდნილი მეტალის საკაცეზე? (თავი 12)**

ა. არაუმეტეს 10 -15 წთ

**53. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოქმედებები უნდა შეასრულოს სამმა მაშველმა ერთდროულად სიმაღლიდან ჩამოვარდნილის ვაკუუმურ ლეიბზე „ბაყაყისებურ" მდგომარეობაში ფიქსაციის დროს? (თავი 12)**

ა. ხერხემლის კისრის ნაწილის ფიქსაცია

ბ. ფრთხილად აწიონ ლეიბი დაზარალებულის მუხლებს ქვეშ.

ც. გააკეთონ „ჩალიჩი" დაზარალებულის ტერფების დასაწყობად და ამოტუმბონ ლეიბიდან ჰაერი სპეციალური ტუმბოთი.

## ავტოსაგზაო შემთხვევები

| | |
|---|---|
| მიუთითეთ რა თანმიმდევრობით უნდა იმოქმედოს მაშველმა, ავტოსაგზაო შემთხვევების დროს მიღებული სამოქმედო სქემით, თუ დაზარალებულს არ აქვს სიცოცხლის ნიშნები (თავი 13)<br>1. დარწმუნდეს რომ გუგებს არ აქვთ რეაქცია სინათლეზე | 6. აუწიოს ფეხები |
| 2.დარწმუნდეს რომ საძილე არტერიაზე პულსი არ არის | 7. დაადოს თავზე ცივი |
| 3.მიაყენოს მუშტით დარტყმა გულმკერდში | 8. არ შეწყვიტოს რეანიმაცია |
| 4.დაიწყოს გულის არაპირდაპირი მასაჟი | 9. გამოიძახოს სასწრაფო დახმარება |
| 5. გააკეთოს ხელოვნური სუნთქვის „ბაბერვა" | |

**54. რა უნდა მოიმოქმედოს მაშველმა სამოქმედო სქემის თანახმად, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს, თუ დაზარალებული მოვიდა გრძნობაზე. (თავი 13)**

ა. სისხლდენის დროს დაადოს ლახტი და ჩაუდოს წერილი დროის მითითებით.

ბ. დაადოს ჭრილობებზე სახვევი.

ც. მისცეს ტკივილგამაყუჩებელი.

დ. კიდურების მოტეხილობისას დაედოს არტაშანი.

ე. გამოძახებულ იქნას სასწრაფო დახმარება.

**55. მიუთითეთ მაშველის მოქმედებების თანიმიდევრობა ავტოსაგზაო შემთხვევისას როცა დაზარალებული არ არის გონზე (თავი 13)**

ა. დარწმუნდეს საძილე არტერიაზე პულსის არსებობაში. (1)

ბ. სწრაფად გადააბრუნოს დაზარალებული პირქვე. (2)

ც. ხელსახოცით ან ცხვირსახოცით გაუწმინდოს პირის ღრუ (3)

დ. სისხლდენისას დაადოს სისხლდენის შემაჩერებელი ლახტი. (4)

ე. ჭრილობებზე დაადოს სახვევი. (5)

ფ. კიდურების ძვლების მოტეხილობაზე ეჭვის დროს დაადოს არტაშანი. (6)

გ. გამოიძახოს სასწრაფო დახმარება. (7)

**56.** **რა მოქმედებების გატარება ეკრძალება მაშველს ავტოსაგზაო შემთხვევისას პირველადი დახმარების დროს? (თავი 13)**

ა. დაუდოს დაზარალებულს თავქვეშ ბალიში, ჩანთა ან დახვეული ტანსაცმელი.

ბ. დატოვოს კომაში მყოფი დაზარალებული ზურგზე მწოლიარე.

ც. გადაიყვანოს ან გადაათრიოს დაზარალებული უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევის გარდა (აფეთქების საშიშროება, ხანძარი და სხვა)

## დახრჩობა

**57.** **როგორია მოქმედებების თანმიმდევრობა წყალში ჩაძირულისათვის პირველადი დახმარების აღმოჩენისას? (თავი 14)**

ა. წყლიდან ამოყვანისთანავე გადაბრუნდეს დაზარალებული პირქვე და თავი დაეხაროს წელს დაბლა. (1)

ბ. გაუნთავისუფლდეს პირის ღრუ გარეშე სხეულებისა და ლორწოსაგან. (2)

ც. მყისიერად დაეჭიროს ენის ძირზე. (3)

დ. ღებინებისა და ხველების რეფლექსების გამოვლენისას, მთლიანად განთავისუფლდეს სასუნთქი გზები და მუცლის ღრუს წყლისაგან. (4)

ე. გამოძახებულ იქნას სასწრაფო დახმარება. (5)

**58.** **რა უნდა მოიმოქმედოს მაშველმა წყალში ჩაძირულის დახმარების დროს როცა დაზარალებულს არ აქვს პულსი და ვერ მიიღწევა ღებინების რეფლექსის გამოწვევა? (თავი 14)**

ა. დაიწყოს რეანიმაცია, შემდეგ დაადოს თავზე ცივი და გამოიძახოს სასწრაფო დახმარება.

**59.** **რა არის დაუშვებელი წყალში დამხრჩვალის პირველადი დახმარების დროს? (თავი 14)**

ა. დაზარალებულის დამოუკიდებლად გადაყვანა, თუ არის სამაშველო სამსახურის გამოძახების საშუალება.

ბ. დაზარალებულის უმეთვალყურეოდ მიტოვება.

**60.** **როგორია მოქმედებების თანმიმდევრობა ცივ წყალში, ყინულჭრილში ჩაძირვისას? (თავი 14)**

ა. სხეულის უსაფრთხო ადგილზე გადაადგილება (1)

ბ. შემოწმდეს გუგების რეაქცია სინათლეზე და პულსი საძილე არტერიაზე, პულსის არარსებობისას – ჩატარდეს რეანიმაცია.(2)

ც. სიცოცხლის ნიშნების გაჩენისას გადარჩენილი გადაყვანილ იქნას თბილ სათავსოში, მიეცეს თბილი ტანსაცმელი და თბილი სასმელი.(3)

დ. გამოძახებულ იქნას სასწრაფო დახმარება.(4)

**61.** **რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში, როცა წყალში ჩაძირულს არ ესინჯება პულსი საძილე არტერიაზე? (თავი 14)**

ა. დაიწყოს რეანიმაცია.

**62.** **როგორი უნდა იყოს ადამიანის მოქმედებები ყინულის ჩატყდომის შემთხვევაში? (თავი 14)**

ა. ყინულზე ამოსვლა უნდა მოხდეს იგივე მხრიდან რომელი მხრიდანაც მოხდა ჩავარდნა.

ბ. ყინულის კიდეზე დაყრდნობა უნდა მოხდეს არა ხელისგულებით არამედ სხეულის მთელი ზედა ნაწილით, ყინულის რაც შეიძლება დიდ და მაგარ ნაწილზე ჩაჭიდებით.

ც. ყინულზე ამოსვლის შემდეგ უნდა გახოხდეს თავისსავე კვალზე პირველი 3-4 მეტრი.

## გადაციება და მოყინვა

**64.** **როგორია მოქმედების სქემა სხეულის გადაცივებისას?**

ა. კუნთების კანკალისა და ციების დროს საჭიროა დაზარალებულს დამატებით დააფაროთ, მისცეთ თბილი და ტკბილი სასმელი ან საკვები შაქრის დიდი შემცველობით.

ბ. მიეცეს (თუ ამის შესაძლებლობაა) 50 მლ ალკოჰოლი და 1 საათის განმავლობაში გადაიყვანეთ თბილ სათავსოში.

ც. თბილ სათავსოში სასწრაფოდ გახადეთ ტანსაცმელი და ჩააწვინეთ თბილ აბაზანაში 35-40 გრად ცელსიუსი წყლის ტემპერატურით ან შემოუწყეთ დიდი რაოდენობით სათბუნებლები.

დ. გამათბობელი აბაზანის შემდეგ აუცილებლად დააფარეთ ან ჩააცვით მშრალი და თბილი ტანსაცმელი.

ე. გააგრძელეთ თბილი და ტკბილი სასმელის მიცემა ექიმის მოსვლამდე.

**65.** **რა არის დაუშვებელი გადაცივების დროს პირველადი დახმარებისას?**

ა. ალკოჰოლის განმეორებითი დოზების მიცემა ან იმ შემთხვევაში როცა დაზარალებული მთვრალია.

ბ. გასათბობი აბაზანისათვის 30 გრად-ზე ნაკლები ტემპერატურის წყლის გამოყენება.

**66.** **რაში გამოიხატება პირველადი დახმარება მოყინვის დროს?**

ა. რაც შეიძლება სწრაფად გადაიყვანეთ თბილ სათავსოში, მოყინული კიდურები გაანთავისუფლეთ ფეხსაცმლისა და ტანსაცმლისაგან.

ბ. სასწრაფოდ დაადეთ დაზიანებულ კიდურებს თერმოსაიზოლაციო საფენი გარე სითბოსაგან დაცვის მიზნით.

ც. მიეცით დიდი რაოდენობით თბილი სითხე, 1-2 ტაბლეტი ანალგინი, შესთავაზეთ ალკოჰოლის მცირე დოზა.

დ. გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება.

67. რა მოქმედებებია დაუშვებელი პირველადი დახმარების აღმოჩენის დროს მოყინულობისას?
ა. მოყინული კიდურების დაზელვა.
ბ. დაზიანებული კიდურების თბილ წყალში მოთავსება ან გარშემო სათბუნებლების შემოწყობა.
ც. კანზე ზეთებისა და ვაზელინის წასმა.

## გულწასულობა

68. როგორია მოქმედებათა თანმიმდევრობა გულწასულობის დროს? (თავი 16)
ა. საჭიროა დარწმუნდეთ საძილე არტერიაზე პულსის არსებობაში. (1)
ბ. გაუნთავისუფლდეს გულმკერდი ტანსაცმლისაგან და შეეხსნას წელზე ქამარი.(2)
ც. აეწიოს ფეხები.(3)
დ. მოხდეს მტკივნეულ ადგილზე დაჭერა. თუ 3 წუთის განმავლობაში გონზე არ მოვიდა, გადაბრუნდეს მუცელზე და დაედოს თავზე ცივი.(4)
ე. გამოძახებულ იქნას ექიმი.(5)
69. რა უნდა მოიმოქმედოს მაშველმა დაზარალებულის გულწასულობის მდგომარეობიდან გამოსაყვანად? (მონიშნეთ შესაბამისად 1-1, 2-2, 3-3.) (თავი 16)

| | |
|---|---|
| ა. მუცლის ტკივილის ან განმეორებით გულის წასვლის შემთხვევაში 1 | (ა)....დაედოს ცივი მუცელზე 1 |
| ბ. მზის დარტყმის შემთხვევაში 2 | (ბ)...გადაიყვანეთ გრილ ადგილზე, დაედოს თავსა და გულმკერდზე ცივი 2 |
| ც. შიმშილისაგან გულის წასვლისას 3 | (ც).... დაალევინეთ ტკბილი ჩაი 3 |

70. რა არის დაუშვებელი პირველადი დახმარების დროს გულის წასვლის შემთხვევისას? (თავი 16)
ა. სათბურას დადება მუცელსა და წელზე მუცლის ტკივილისას ან განმეორებით გულის წასვლისას.
ბ. საკვების მიცემა შიმშილისაგან გულის წასვლისას.

## კიდურების მოჭყლეტვა

71. როგორი უნდა იყოს მაშველთა მოქმედებები კიდურების ხანგრძლივი ჭყლეტის შემთხვევაში, მათ განთავისუფლებამდე? (თავი 17)
ა. კიდურებს შემოეწყოს ყინულის, თოვლის ან ცივი წყლის პაკეტები.
ბ. განთავისუფლებამდე დაედოს დამცავი ლახტები.
ც. ცდაზარალებულს მიეცეს 2-3 აბი ანალგინი, შეთავაზეთ დიდი რაოდენობით თბილი სითხე.
72. როგორი უნდა იყოს მაშველთა მოქმედებები კიდურების ხანგრძლივი ჭყლეტვის შემთხვევაში, მათი განთავისუფლების შემდეგ? (თავი 17)
დ. დაედოს არტაშანი.
ე. სასწრაფოდ მჭიდროდ გადაეხვევს დაზიანებული კიდურები.
ფ. დაზიანებულ კიდურებს დაედოს ცივი.
გ. ექიმთა მოსვლამდე მიეცეს დიდი რაოდენობით თბილი სითხე.
73. რა არის დაუშვებელი პირველადი დახმარების გაწევისას კიდურების ხანგრძლივი ჭყლეტვის დროს? (თავი 17)
ა. დამცავი ლახტების დადებამდე დაჭყლეტილი კიდურების განთავისუფლება და დიდი რაოდენობით სითხის მიცემა.
ბ. დაჭყლეტილი კიდურების გათბობა.

## გველებისა და მწერების ნაკბენები.

74. რაში მდგომარეობს პირველადი დახმარების გაწევა შხამიანი გველებისა და მწერებისაგან დაკბენის დროს? (თავი 18)
ა. მოცილდეს ნექტარი ნაკბენს.
ბ. ნაკბენზე დაედოს ცივი. (გველგესლას ნაკბენზე დაედოს ბაყაყი მუცლით, ან სახვევი „კოლეტექსი").
ც. ჩაეწვეთოს 5-6 წვეთი „გალაზოლინი" ან „სანორინი" ცხვირში და ნაკბენზე.
დ. კიდურებზე კბენისას აუცილებლად დაედოს არტაშანი.
ე. მიეცეს დიდი რაოდენობით თბილი და ტკბილი სითხე.
ფ. ექიმის მოსვლამდე დაზარალებული უნდა იყოს მეთვალყურეობის ქვეშ.
გ. გულის წასვლისას დააწვინეთ მუცელზე. გულის გაჩერების და სუნთქვის შეწყვეტისას დაიწყოს რეანიმაცია.

## ქიმიური დამწვრობები და გაზებით მოწამლვა.

75. რას გულისხმობს პირველადი დახმარება ნებისმიერი აგრესიული სითხით დაზიანებისას (მჟავა, ტუტე, გამხსნელი, სპეცსაწვავი, ზეთები)? (თავი 19)
ა. სასწრაფოს მოსვლამდე კანის წყლის ჭავლით გაბანვას.
76. რა სახის დახმარება უნდა გაეწიოს დაზარალებულს გაზით მოწამლვის დროს? (თავი 19)
ა. გამოყვანილ იქნას სუფთა ჰაერზე.

ბ. თუ არ არის გონზე და არ აქვს პულსი საძილე არტერიაზე დაიწყოს რეანიმაციის კომპლექსის ჩატარება.
ც. 4 წუთზე მეტ ხანს გონის დაკარგვის შემთხვევაში გადაბრუნებულ იქნას მუცელზე და თავზე დაედოს ცივი.
დ. აუცილებლად გამოძახებულ იქნას სასწრაფო დახმარება.
77. როგორ უნდა ჩატარდეს ხელოვნური სუნთქვა პირიდან პირში მავნე აირებით მოწამვლისას? (თავი 19)
ა. სპეციალური ნიღბის გამოყენებით, რომელიც იცავს მაშველს დაზარალებულის ამონასუნთქისგან.

ძირითადი მანიპულაციების ჩატარების ნიშნები

78. როდისაა აუცილებელი დაზარალებულის გულმკერდზე მუშტის დაუყოვნებელი დარტყმის განხორციელება და გულისა და ფილტვების რეანიმაციის დაწყება? (თ.20)
ა. არ არის გონზე.
ბ. გუგები არ რეაგირებს შუქზე.
ც. არ ესინჯება პულსი საძილე არტერიაზე.
დ. სისხლდენის დროს როცა სისხლი ჭრილობიდან გამოედინება პასიურად.
ე. დაუყოვნებლივ კიდურების განთავისუფლების შემდეგ მიჭყლეტვის სინდრომის დროს.
79. როდის უნდა დაედოს დაზარალებულს მიმჭერი სახვევები? (თავი 20)
ა. სისხლდენისას, როდესაც სისხლი პასიურად გადმოედინება ჭრილობიდან.
ბ. კიდურების განთავისუფლების თანავე, ჭყლეტვის სინდრომის დროს.
80. როდის უნდა დაედოს დაუყოვნებლივ სისხლშემაჩერებელი ლახტი? (თავი 20)
ა. თუ ჭრილობაზე წარმოიქმნება სისხლის ბურთულა.
ბ. თუ ალისფერი სისხლი შადრევანივით ასხავს ჭრილობიდან.
ც. ტანსაცმელზე დიდი სისხლის ლაქის დროს ან დაზარალებულთან სისხლის გუბის არსებობისას
81. როდის უნდა დაედოს დაზარალებულს დამცავი ლახტი? (თავი 20)
ა. მიჭყლეტვის სინდრომის დროს კიდურების განთავისუფლებამდე.
82. როდის უნდა დაედოს დაზარალებულს კიდურებზე არტაშანი? (თავი 20)
ა. თუ ჩანს ძვლების ნამსხვრევები.
ბ. ტკივილის დროს.
ც. კიდურების დეფორმაციის და შეშუპების დროს.
დ. მიჭყლეტილი კიდურების განთავისუფლების დროს.
ე. შხამიანი გველების კბენისას.
83. როდის არის აუცილებელი დაზარალებულის გადაყვანა „ფარით" (მაგარი, სწორი ზედაპირი) მუხლებ ქვეშ ამოდებული ჩალიჩით ან ვაკუუმური საკაცით „ბაყაყისებურ" მდგომარეობაში? (თავი 20)
ა. როცა არსებობს ეჭვი ხერხემლის ან ზურგის ტვინის დაზიანებაზე.
ბ. როცა არსებობს ეჭვი მენჯის ძვლის დაზიანებაზე.
ც. როცა არსებობს ეჭვი ბარძაყის ძვლის ზედა მესამედი ნაწილის მოტეხილობაზე და მენჯბარძაყის დაზიანებაზე.
84. როდის გადაჰყავთ დაზარალებული მხოლოდ მუცელზე მწოლიარე? (თავი 20)
ა. კომატოზურ მდგომარეობაში
ბ. ხშირი ღებინების დროს
ც. ზურგისა და დუნდულების დამწვრობის დროს
დ. როცა ეჭვია ზურგის ტვინის დაზიანებაზე და ხელთ გვაქვს მხოლოდ ბრეზენტის საკაცე
85. როდის შეიძლება დაზარალებულის გადაყვანა მჯდომარე ან ნახევრად მჯდომარე მდგომარეობაში? (თავი 20)
ა. კისრის ჭრილობის დროს
ბ. გულმკერდის შემავალი ჭრილობის დროს
86. როდის შეიძლება დაზარალებულის გადაყვანა მხოლოდ ზურგზე მწოლიარე, მაღლა აწეული ან მუხლებში მოხრილ მდგომარეობაში? (თავი 20)
ა. მუცლის ღრუს შემავალი ჭრილობის დროს
ბ. გულმკერდის შემავალი ჭრილობის დროს

საშიში დაზიანებების და მდგომარეობის ნიშნები.

87. როგორია უეცარი სიკვდილის ნიშნები (როცა ყოველი დაკარგული წუთი შეიძლება გახდეს დამღუპველი) (თავი 21)
ა. გონზე არ ყოფნა
ბ. არ არის გუგების რეაქცია სინათლეზე
ც. არ არის პულსი საძილე არტერიაზე
88. როგორია ბიოლოგიური სიკვდილის ნიშნები (როცა რეანიმაციის ჩატარებას აზრი არ აქვს)? (თავი 21)
ა. გვამური ლაქების გაჩენა
ბ. თვალის გუგის დეფორმაცია თვალიზე ფრთხილად დაწოლისას
ც. თვალის რქოვანას გაშრობა (ვერცხლისფერი ბზინვარების წარმოქმნა)
89. როგორია დაზარალებულის კომაში ყოფნის ნიშნები? (თავი 21)

ა. გონის დაკარგვა 4 წუთზე მეტ ხანს
ბ. საძილე არტერიაზე პულსი ესინჯება აუცილებლად
90. როგორია არტერიული სისხლდენის ნიშნები? (თავი 21)
ა. ალისფერი სისხლი ჭრილობიდან მოედინება შადრევანივით
ბ. ჭრილობაზე ჩნდება გამონადენი სისხლის ბურთულა
ც. სისხლის დიდი ლაქა  ტანსაცმელზე ან სისხლის გუბე დაზარალებულის სიახლოვეს
91. როგორია ვენური სისხლდენის ნიშნები? (თავი 21)
ა. სისხლი პასიურად მოედინება ჭრილობიდან
ბ. სისხლს აქვს ძალიან მუქი ფერი
92. როგორია დახრჩობის ნიშნები? (თავი 21)
ა. სახისა და კისრის კანი შეშუპებული და მოლურჯოა
ბ. კისრის ძარღვები დაბერილია
ც. პირიდან და ცხვირიდან გამოიყოფა დიდი რაოდენობით ქაფი
93. როგორია მკრთალი დახრჩობის ნიშნები? (თავი 21)
ა. საძილე არტერიაზე პულსის არარსებობა
ბ. ხშირ შემთხვევაში მშრალი, პირის კიდეებიდან ცხვირსახოცით ადვილად მოსაცილებელი ქაფი
ც. ღია ნაცრისფერი კანის ფერი
დ. თვალის გუგები  გაფართოებულია და სინათლეზე არ რეაგირებს.
94. როგორია გულწასულობის ნიშნები? (თავი 21)
ა. ხანმოკლე დროით (3-4 წუთით ) გონის დაკარგვა
ბ. გონის დაკარგვას წინ უსწრებს სისუსტე, თავბრუსხვევა, ყურში ხმაური და თვალებში დაბნელება.
95. როგორია ქვედა კიდურების მიჭყლეტვის სინდრომის ნიშნები (ჩნდება კიდურების განთავისუფლებიდან 15 წუთის შემდეგ)? (თავი 21)
ა. ვარდისფერი ან წითელი შარდის ფერი.
ბ. კიდურების შეშუპება და კუნთების რელიეფის გაქრობა.
ც. მიჭყლეტილი კიდურების განთავისუფლების შემდეგ მდგომარეობის გაუარესება.
დ. მაჯაზე პულსის გაქრობა.
96. როგორია გადაციების ნიშნები? (თავი 21)
ა. ჟრჟოლვა და ცახცახი.
ბ. აზროვნების დაქვეითება, შენელებულობა და აპათია, ბოდვა და ჰალუცინაციები, არაადეკვატური ქცევა.
ც. ტუჩების გალურჯება ან გაფითრება.
დ. სხეულის ტემპერატურის დაცემა.
97. როგორია კიდურების ძვლების ღია მოტეხილობის ნიშნები? (თავი 21)
ა. ჩანს ძვლის ნამსხვრევები.
ბ. კიდურის დეფორმაცია და შეშუპება.
ც. ჭრილობის არსებობა ხშირად სისხლდენით.
98. როგორია ქვედა კიდურების მოყინვის ნიშნები? (თავი 21)
ა. დაკარგულია შეგრძნება.
ბ. კანი ფერმკრთალია, გამაგრებულია და ცივია.
ც. არ ესინჯება პულსი მაჯაზე.
დ. თითით დარტყმისას ---გამოიცემა ხისმაგვარი ხმა.
99. როგორია კიდურების ძვლების დახურული მოტეხილობის ნიშნები? (თავი 21)
ა. ძლიერი ტკივილი მოძრაობისას ან კიდურის დატვირთვისას.
ბ. კანი მოლურჯო ფერისაა.
ც. კიდური განიცდის დეფორმაციას და შეშუპებას.